საერთო გაზეთი

№2 (507) • 30 იანვარი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

რამაზ საყვარელიძე:

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, რომ პოლიტიკა ბრძოლაა და რატომ უნდა მოვთხოვოთ ოპონენტებს, რომ არ იბრძოლონ?

ქობა არაბული:

მთის აღორძინება იწყება, ანუ დადგა ჟამი ეშმაკთა წასვლისა და კაცთა მოსვლისა

თეიმურაზ ქარჩავა:

მზად ვარ ჩამოვიდე საქართველოში და ბოლომდე ვამხილო კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის დანაშაულებრივი ტრიო...

სიკვდილის კორპუსები

25 წელიწადია სეისმომედეგობაზე არცერთი შენობა არ შემოწმებულა

მელორ სტურუა:

შეხვედრა სალვადორ დალისთან

როგორ დაკითხა პროკურორმა ნიკა გვარამიამ ბრალდებული სააკაშვილი

ჰიტლერიდან მიშტლერამდე, ანუ გებელსი და მინი გებელსები

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააცნობიეროს, რომ მათ ებრძვიან. პოლიტიკა ბრძოლაა და რატომ უნდა მოვთხოვოთ ოპონენტებს, რომ არ იბრძოლონ?



„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, 2019 წელი უცნაურად დაიწყო: „რუსთავი-2“, „ნაცმოძრაობა“, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვანი აპოკალიფსურ სურათს ხატავენ, თითქოს, ქვეყნის დასასრული ახლოვდება და ივანიშვილი მის მიერვე აშენებულ ქვეყანას დანგრევას უპირებს. სოციალურ ქსელში თუ ვინმემ ივანიშვილის დაცვა გაბედა, რისხვა არ ასცდება. რასთან გვაქვს საქმე?

— თქვენს კითხვაში პასუხიც არის – საპრეზიდენტო არჩევნებიდან მოყოლებული პოლიტიკური ბრძოლა კიდევ გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები „ნაცმოძრაობამ“ წააგო. ეს თავისებური პოლიტიკური ძალაა, რომელიც განსხვავებით ადრე დამარცხებული მმართველი პარტიებისგან, წაგებას არ ეგუება და იბრძვის იქამდე, სანამ ბრძოლის შანსი აქვს. ეს ბრძოლისუნარიანობა პოლიტიკური პარტიისთვის კარგი თვისებაა, ცუდი შედეგები რომ არ მოჰყვებოდეს, კერძოდ – „ბრძოლა წესების გარეშე“, მათ შორის, ზნეობის წესების გარეშეც. პოლიტიკა მორალს, საერთოდ, დიდ ანგარიშს არ უწევს, მაგრამ მაშინ მაინც იხევს უკან, როცა ამორალობას უსაყვედურებენ. „ნაცმოძრაობა“ თავის მეთოდებს არც ამ შემთხვევაში ღალატობს. რაც თქვენ აღნიშნეთ, ეს პოლიტიკური ტექნოლოგიის ერთ-ერთი მეთოდია, რომლის მიზანია ხალხი პანიკამდე მიიყვანოს. პანიკაში ჩავარდნილი ადამიანის მართვა ადვილია, ის აღარ ფიქრობს. გაიხსენეთ, „ნაცმოძრაობამ“ „ვარდების რევოლუციის“ წინაც ანალოგიური მეთოდი გამოიყენა. მაშინაც ყველა იძახდა, რომ ქვეყანა იღუპება. ამ პიარ-კამპანიის შედეგად „ნაცებმა“ შესანიშნავად მოუმწიფეს ნიადაგი სახელმწიფო გადატრიალებას, რომელსაც „რევოლუცია“ დაარქვეს. თქვენ, ახსენეთ: თავს ესხმიან მათ ვინც რაიმე პოზიტიურს იტყვის-ო. ზუსტად, ანალოგიური ხდებოდა მაშინაც შევარდნაძესთან მიმართებაში. მათ კარგად იციან, რომ საჭიროა არსებული ხელისუფლების მიუღებლობის კლიმატის შექმნა. როცა დამკვიდრდება სტერეოტიპი, რომ დაუშვებელია ამ ხელისუფლების პირობებში ცხოვრება, ასეთ შემთხვევაში ადამიანებს კანონი აღარ ახსოვთ და მხარს სასწრაფოდ გადატრიალების მოწყობას უჭერენ. ამ სტერეოტიპით შესაძლებელი ხდება მილიონობით ადამიანი ისე ათამაშო, რომ ისინი ვერც კი მიხვდნენ, რომ სათამაშოს როლში იმყოფებიან. წარსულში ამგვარი სტერეოტიპებით რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ, ევროპაში – ნაცისტები. ქართველმა „ნაცებმაც“ ეს გამოცდილი მეთოდი გამოიყენეს და „ვარდების რევოლუცია“ მოახდინეს.

სააკაშვილს დღეს კიდევ უფრო სჭირდება რევოლუცია, რადგან უკვე კარგად დაინახა, რომ არჩევნებში ის საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერას ვერ მიიღებს. ამიტომ, იგი, პირდაპირ გადავიდა გადატრიალების მოწყობაზე. ამას სჭირდება არსებული ხელისუფლების დევალვაცია. სააკაშვილმა აქცენტი ქართველ ემიგრანტებზე გადაიტანა, რომლებიც დღევანდელ რეალობაში ნაკლებად ერკვევიან. „ვარდების რევოლუციისას“ მათ როლს უცხოელები ასრულებდნენ, რომელთა მოტყუება ადვილი იყო, რადგან ქართულ რეალობას ვერც ისინი ხედავდნენ. ხელისუფლების მიუღებლობის სტერეოტიპის შექმნაში დღესაც მონაწილეობს არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი, ისევე, როგორც „ვარდების რევოლუციის“ დროს. იმ დროს გამოკვეთილი იყო „თავისუფლების ინსტიტუტი“, დღეს ასეთი ლიდერი არ ჩანს. სააკაშვილს დღეს ხელს სახელისუფლო სტრუქტურებში ჩასმული მისი მომხრეები უმართავენ, ისევე, როგორც ეს 16 წლის წინ ხდებოდა.

სააკაშვილი რევოლუციისკენ მიდის, რადგან მას ეს სჭირდება და ამის გამოცდილებაც აქვს. ოღონდ, 2019 წელი 2003 წლისგან ორი არსებითი ფაქტორით განსხვავდება: მაშინდელი ხელისუფლების დამხობა სააკაშვილის მოსვლას ნიშნავდა, რადგან მოსახლეობა მას მხოლოდ შევარდნაძის ხელისუფლების ენერგიული კრიტიკით იცნობდა. დღეს, ხელისუფლების კრიტიკა სააკაშვილის მოსვლას არ ნიშნავს, რადგან მოსახლეობა მის მმართველობას იცნობს ძალადობით, სიცრუით, დაუნდობლობით. ამიტომ, საზოგადოების დიდ ნაწილს არ უნდა არც დღევანდელი და არც წინა ხელისუფლება. მიმდინარეობს მესამე ძალის გამალებული ძიება. მეორე ფაქტორი კი ისაა, რომ „რევოლუციაში“ მაშინ ამერიკა იყო დაინტერესებული, რომლის იმდროინდელი პრეზიდენტი დემოკრატიული რევოლუციებით კონტინენტის დაპყრობას აპირებდა. საქართველო მაშინ ერთ-ერთი შედეგიანი ექსპერიმენტი იყო — ასე განაცხადა ჯორჯ სოროსმა სააკაშვილის გამარჯვების შემდეგ. დღეს დასავლეთში ამგვარი კონცეფცია არ არის და რევოლუციების მხარდაჭერაც მისი მხრიდან არ იქნება. სააკაშვილი ამ განსხვავებას ანგარიშს ვერ უწევს და შედეგად მოქმედებს, როგორც 2003 წელს.

ხშირად, გულისხმობენ, რომ, „ნაცმოძრაობა“ თავისი „რუსთავი-2“-ით ბოროტი განზრახვით მოქმედებს. ეს შეცდომაა. ისინი პოლიტიკური ტექნოლოგიების მიხედვით მოქმედებენ ისე, რომ ადამიანების და ქვეყნის ბედი ნაკლებად აღელვებთ. ისინი ბრძოლის რეჟიმში არიან და მიაჩნიათ, რომ ვინც მათთან არ არის, მათი მტერია. ამ მტრობის კლიმატს ამკვიდრებენ, რადგან სწორედ ამან მოუტანა მათ ადრე გამარჯვება. თუ, ახლა, დაპირისპირების კლიმატი მკვიდრდება, ეს უკვე მმართველი პარტიის ბრალია. თუ „ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის იმის პოლიტიკური გამოცდილება, მიხვდეს, რომ მის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის ხერხებს იყენებენ და ამას საპასუხო ტექნოლოგიით უნდა პასუხი, მაშინ, რა თქმა უნდა, მათი საქმე ისე წავა, როგორც ამჟამად მიდის. მაგალითისთვის, უფრო ძლიერი ტექნოლოგიაა დამბაჩა, ვიდრე ხმალი. თუ დუელში ერთს დამბაჩა უჭირავს, მეორემაც დამბაჩა უნდა მოიხმაროს, არადა დამარცხდება. „ნაცმოძრაობა“ პიარ ტექნოლოგიებით იბრძვის. „ქართულ ოცნებას“ კი ძალზე სუსტი პიარი აქვს. ყველას გვახსოვს მეორე ტურის წინ ივანიშვილის საზოგადოებისადმი მიმართვა. ამ საბოდიშო მდგომარეობამდე „ქართული ოცნება“ პიარში დაშვებული შეცდომების გამო მივიდა. როგორც ადამიანის, ასევე, პარტიის იმიჯს გარეგნული იერი, მოქმედებები, ლაპარაკი ქმნის და ის, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სხვებს. ადამიანი ხომ კომფორმული არსებაა. „ქართულმა ოცნებამ“ თავის სახეებად, ძირითადად, ნაკლებად თავდაჯერებული ახალგაზრდები გადააქცია (თავდაჯერებული გახარია და კალაძე გამონაკლისია და მათ კიდეც აქვთ მაღალი რეიტინგი). „ქართული ოცნება“ ვერ ახერხებს ხალხს შეატყობინოს რა აქვს გაკეთებული, ასევე – იმიჯი შეიქმნას მოქმედებით და არა მხოლოდ სიტყვით. ამაშიც არის რამოდენიმე გამონაკლისი, როცა ცდილობენ ხალხს მუდმივად მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარ საქმიანობაზე. რაც შეეხება ლაპარაკს, ძირითადად, მედიასთან გია ვოლსკი საუბრობს, რაც არაა საკმარისი მთელი პარტიის იმიჯისთვის. ამ ყოველივეს ფონზე ადვილად საყვედურობენ ივანიშვილს უმუშევრობის დონე მაღალიაო მაშინ, როცა ბოლო 30 წელია უმუშევრობის პრობლემა მუდმივად დგას. ნუ გვიკვირს, რომ მაინცდამაინც ივანიშვილს სთხოვენ ამაზე პასუხს – ამ მიმართულებითაც ბევრი პიარ-შეცდომაა დაშვებული, რაზეც სწორედ ეს პრტენზიულობა მიუთითებს. სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო. სახელის შექმნა კი სისტემატურ პროფესიულ მუშაობას და პოლიტიკოსების მიერ მის გათვალისწინებას ითხოვს. კახი კალაძეს ერთმა პოლიტიკოსმა უსაყვედურა: ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობის აკრძალვა პიარისთვის გააკეთაო. თუ ეს ასეა, ყოჩაღ კალაძე, რომ თავის სახელზე ზრუნავს. ეს ყოველთვის საშურია. ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე წელს ივანიშვილის ხელისუფლებამ პოლიტ.პატიმრებად წოდებული ადამიანები ციხიდან გამოუშვა. ვერ მიხვდნენ, რომ აქ გაჩერება წამგებიანი იქნებოდა მათთვის, თუ მომდევნო ნაბიჯი არ გადაიდგმებოდა — იმ მოსამართლეების დასჯა უნდა მომხდარიყო, რომლებმაც პოლიტპატიმრებს განაჩენი გამოუტანეს და

სამართლიანობა უნდა აღმდგარიყო.

ხალხს რეაქცია სწორედ იმიჯზე აქვს და არა რეალობაზე. ეს კარგად იცის „ნაცმოძრაობამ“ და ივანიშვილს იმიჯს უფუჭებს. სტალინს სურდა მის მმართველობას კარგი იმიჯი ჰქონოდა, ამიტომ, ომის შემდეგ, პერაშკების ფასს 3–3კაპიკს აკლებდა. რატომ? – იმიჯი იქმნებოდა, რომ ხელისუფლება ხალხზე ზრუნავს და საქონელს აიაფებს. ეს იმიჯის შექმნის ხერხი იყო. დიქტატორი სტალინი თუ იმიჯზე ფიქრობდა, „ქართულმა ოცნებამ“ — ხალხზე დამოკიდებულმა ხელისუფლებამ მით უფრო უნდა იფიქროს იმაზე, რა წარმოდგენა ექნება საზოგადოებას მის მიერ გადადგმული ან არგადადგმული ნაბიჯების გამო. იმიჯის მიმართ დაუდევრობა ცუდ მდგომარეობაში აგდებს მასაც და მთელ საზოგადოებასაც, რომელიც ოპოზიციის მიერ მაღალი კვალიფიკაციით ჩაფიქრებული პიარ-კამპანიის მსხვერპლი ხდება და ტალღაზე მოტივტივე ნაფოტივით იქეთკენ მიექანება, საითაც ეს ტალღა წავა. ხოლო „ქართული ოცნების“ მხრიდან გამაწონასწორებელი დინება არ იქმნება. „ნაცმოძრაობისგან“ მიჯირყნული საზოგადოება გამოსავალს ვერ ხედავს და არის

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სასოწარკვეთილი.

— რადგან პიარი ვახსენეთ, მინდა გკითხოთ: მართლაც, ივანიშვილის გაკეთებულ კარგ საქმეებზე არავინ საუბრობს არც მტერი, არც მოყვარე. მტერი გასაგებია რატომაც, მაგრამ მოყვრებს რა სჭირთ? შედეგად, ივანიშვილს გაკეთებული სიკეთეები აქტივში არ ეთვლება, სამაგიეროდ, ყველა პრობლემა მას ბრალდება.

— სამწუხაროდ, თავად ივანიშვილმა ჩაიგდო თავი ამ მდგომარეობაში, ამიტომ ძნელია ოპონენტის გამტყუნება, რომელიც თავის საქმეს აკეთებს. ოპოზიციამ რატომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ივანიშვილს კარგი იმიჯი ჰქონდეს?! „ნაცები“ გამარჯვებისთვის იბრძვიან. ივანიშვილი კი გამარჯვების მერე არავის აღარ ებრძვის, ხომ. მან თქვა: მოდით, ვიცხოვროთ მშვიდობიანადო. მშვიდობიანი ცხოვრება კი პოლიტიკაში არ არსებობს, რაც საპრეზიდენტო არჩევნების რაუნდში ყველაზე მკაფიო გახდა. რატომ აღმოჩნდა „ნაციონალებისთვის“ ასეთი აუცილებელი საპრეზიდენტო არჩევნების მოგება, ეს კიდევ ცალკე თემაა, მაგრამ ფაქტია, მათ იბრძოლეს და ამას დღემდე აგრძელებენ. მმართველი პარტია ვერ ჩაწვდა, რომ მათ ებრძვიან, პოლიტიკა ბრძოლაა და რატომ უნდა მოვთხოვოთ ოპონენტებს არ იბრძოლონ?

— ბატონო რამაზ, საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციის ლოზუნგი იყო — ყველა მინუს ერთი, ანუ, გულისხმობდნენ ბიძინა ივანიშვილს. საინტერესოა, ამ მინუსს თან ივანიშვილის მიერ ქვეყნისთვის გაკეთებული სიკეთეებიც რომ გამოვაკლოთ, რა რჩება ასეთი საქართველოსგან?

— ეს დამოკიდებულება პოლიტიკაში რეალობაა. სიკეთეს არავინ დაგიფასებს, რადგან პოლიტიკა ბრძოლაა. ბიძინა ივანიშვილი სანამ მხოლოდ ქველმოქმედი იყო, სააკაშვილის გუნდმა მისით ბევრი ხეირი ნახა, მაგრამ როცა პოლიტიკასა და ხელისუფლებაში ყოფნას ეცილება, იქ, უკვე დაუნდობელი ბრძოლა მიდის. თუ ერთი მხრიდან დაუნდობელი ბრძოლაა, შენც ხომ იგივე უნდა გააკეთო?! ხომ არ შეიძლება ერთი მხარე იბრძოდეს, მეორე — არა. ჩვენ კი ასეთი სურათი მივიღეთ. შეიძლება, ეს გარკვეული პოლიტიკური გულუბრყვილობის შედეგია.

— დასაწყისში ახსენეთ: იგივე მეორდება, შევარდნაძის დროსაც „ნაციონალები“ ამბობდნენ, რომ ქვეყანა იღუპებაო. ყველამ ვიცით „ვარდების რევოლუცია“ რა შედეგითაც დასრულდა. ახლაც, იმავე საფრთხეს ხომ არ ხედავთ?

— რა თქმა უნდა, მსგავსი საფრთხე ახლაც არაა გამორიცხული, სცენარი, თითქმის, იგივეა. თუმცა, ტექნოლოგიებში რასაც შევარდნაძის დროს „ნაცმოძრაობა“ იყენებდა, ერთი განსხვავება მაინც არის. ამჯერად, „ნაცებმა“ წამოაყენეს დებულება — არც „ქართული ოცნება“ ვარგა და არც „ნაცმოძრაობა“, რაც ძალიან ბევრმა აიტაცა. ამ ელემენტის გამო დიდი ნაწილი არჩევნებზე არ მივიდა და მივიღეთ 50%-იანი დანაკლისი. სწორი გათვლა ჰქონდა „ნაცმოძრაობას“? — რა თქმა უნდა, კი. დიახ, მათ იმ ეტაპზე სწორი გათვლა გააკეთეს, რაც ვერ მოახერხა „ქართულმა ოცნებამ“. სამაგიეროდ, შემდეგ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური სურათი აირია და ხალხს ვერც ის გაუგია, რას აპირებენ.

— ივანიშვილმა მეორე ტურის წინ დაპირებები გასცა. როგორ ფიქრობთ, მათი შესრულება დაიწყო?

— მოსამართლეების საკითხს თუ შევხედავთ, ფაქტია, რომ უნიკალური რამ მოხდა — ივანიშვილმა თავისი პოზიცია, თითქმის, დათმო და საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გაუწია. ანალოგიური ნაბიჯი გადადგა მან მარიხუანასთან დაკავშირებით, თქვა: მჯერა, რომ მარიხუანას პროექტი მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ რადგან გუნდმა მხარი არ დაუჭირა, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნაო. ამავე დროს, ვხედავთ, რომ მოსამართლეების თემა დამთავრებული არაა, ის სანახევროდ გადაიჭრა. ივანიშვილის ერთ-ერთი პრობლემა, შეიძლება, ის არის, რომ პოლიტიკური მიზანშეწონილობით ნაკარნახევი სიფრთხილის დროს არაა გათვალისწინებული, რომ ზედმეტი სიფრთხილე პოლიტიკოსის იმიჯს ვნებს. საერთოდ, თუ მან იმიჯთან დაკავშირებული შეცდომები ბოლომდე არ გაიაზრა, მარტო სამუშაო ადგილებით და სხვა ანალოგიური მოვლენებით საგრძნობ შედეგს ვერ მიიღებს. სამუშაო ადგილების ცვენა რომ იყოს, ივანიშვილის მადლიერები მაინც არ იქნებიან, რადგან მომადლიერებასაც თავისი მექანიზმი აქვს.

პოლიტიკურ ბრძოლაში ივანიშვილს არათუ სიკეთე არ დაუფასეს, ბოროტებაც დააბრალეს. ამიტომ, იმის მოლოდინი, რომ თუ ის სამუშაო ადგილებს შექმნის, ყველაფერი კარგად იქნება, ადეკვატური არ არის. თუ ივანიშვილი სამუშაო ადგილებს შექმნის, იტყვიან: აი, ხალხმა თავისი გაიტანაო და ივანიშვილის ღვაწლზე არავინ ისაუბრებს. ვიმეორებ, ეს პოლიტიკური ბრძოლაა. ხალხი ამ პოლიტიკურ ბრძოლაშია ჩაბმული. ივანიშვილი ხალხს ექცევა როგორც დამოუკიდებელ და ობიექტურობაზე აგებულ მხარეს. ხალხი ობიექტური რომ იყოს, პიარი როგორც ასეთი არ იარსებებდა. პიარი იმიტომ არსებობს, რომ ხალხის სუბიექტური განწყობები იმართოს და ამ მექანიზმს უნდა გაეწიოს ანგარიში.

— ბატონო რამაზ, დასაწყისშიც ვახსენე: სოციალურ ქსელში, ტელევიზიებში, ქუჩაში, ზოგადად, ყველგან ყველა ხელაღებით იწყებს იმ ადამიანის ლანძღვას, ვინც გაბედავს და ივანიშვილზე რამე კარგს იტყვის. რა დაემართა ჩვენს ერს?

— ეს ტექნოლოგია, რასაც ჩვენ გვთავაზობენ: ქვეყანა იღუპება, იფიქრეთ ისე როგორც „ნაცმოძრაობა“ გკარნახობთ, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი არის მტერი – ეს ყველაფერი ერის დაზომბირების ტექნოლოგიაა. ზომბირებული ერი მერე ის აღარ არის, რაც მასში ჩადებულია — პრინციპებსაც ღალატობს და თავის თავისთვისაც სახიფათო ხდება. აქეთკენ მიჰყავს ერი „ნაცმოძრაობას“, ეს ზომბირების წინაპირობაა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

როგორ დაკითხა პროკურორმა ნიკა გვარამიამ ბრალდებული სააკაშვილი

სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ მისმა თანამოაზრეებმა მას უკვე გამოუტანეს განაჩენი – მოიკვეთოს!

რა არის მაინც, ეს ძვალ-რბილში გამჯდარი უნარ-ჩვევები? შეიძლება უამრავი პროფესია გამოიცვალო, უამრავი ხელობა ისწავლო, მაგრამ ბოლოს მაინც იქ ბრუნდები, რომელიც შენი მთავარი და პირველადი პროფესიაა.

ასე, მაგალითად, ნიკა გვარამია ვითომ ტელეჟურნალისტია, ვითომ ტელეწამყვანია, ვითომ გენდირექტორია, ვითომ მელომანი და კულინარიული ხელოვნების დიდი სპეციალისტია, მაგრამ სინამდვილეში მაინც პროკურორია.

ეს ხომ ასეა, 27 იანვრის „კვირის აქცენტებშიც“ კარგად გამოჩნდა, როცა ნიკა გვარამიამ ნამდვილი დაკითხვა მოუწყო ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილს და, როგორც იტყვიან, ბოლომდე გაწურა იგი.

სააკაშვილმა რაღაც მომენტში იეჭვა, რომ ინტერვიუზე კი არა, დაკითხვაზე იმყოფებოდა და პროკურორ გვარამიას ჩამჭრელი კითხვებისთვის პასუხის გაცემისგან თავის არიდება სცადა, მაგრამ გამოცდილი პროკურორის კლანჭებიდან თავის დაღწევა მაინც ვერ მოახერხა.

გვარამია მეორედ, მესამედ, მეოთხედ აბრუნებდა უკან განზე გაქცეულ სააკაშვილს და დაჟინებით ითხოვდა, პასუხი გაეცა კითხვისთვის.

— როგორ და რანაირად აპირებთ თქვენ საქართველოში დაბრუნებას? — ეკითხებოდა გვარამია სააკაშვილს და ისიც რაღაცას მიედ-მოედებოდა, მაგრამ გვარამია არ ეშვებოდა და დაჟინებით მოითხოვდა საქართველოში დაბრუნების კონკრეტული, პუნქტობრივად ჩამოწიკწიკებული გეგმა წარმოედგინა.

— ემიგრანტებთან ვმუშაობ ახლა მე, სულ მალე გვექნება ემიგრანტების დიდი შეკრება. ათი მილიარდი დოლარი უნდა შევაგროვოთ, რომ ივანიშვილი დავამარცხოთ და საქართველოში დავბრუნდეთო, — ამბობდა სააკაშვილი და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

— დამიზუსტეთ, როგორ უნდა დაბრუნდეთ? საქართველოში რომ ჩამოხვიდეთ, მაშინვე დაგიჭერენ.

— მე ყველაფრისთვის მზად ვარ...

— იცით თუ არა თქვენ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია ფრთხილობს, თქვენი ჩამოსვლით ახალი ივანიშვილი არ მივიღოთ. მზად ხართ თქვენ, მათთან ითანამშრომლოთ, როგორც თანასწორმა თანასწორთან?

ეს კითხვა რამდენჯერმე გაუმეორა გვარამიამ სააკაშვილს, მაგრამ სააკაშვილი მაინც ემიგრანტებზე აგრძელებდა საუბარს, რამაც პროკურორი გვარამია გააბრაზა და პირდაპირ მიახალა ყოფილ ბოსს — გაერთიანებულ ოპოზიციას დიდად არ ეხატებით გულზე და თქვენს ჩამოსვლაზე სულაც არ ოცნებობენო.

გვარამიამ კიდევ ბევრი უტრიალა სააკაშვილს. ხან იქიდან შემოუარა, ხან აქედან, კომპლიმენტიც კი უთხრა — წონაში მაგრად დაგიკლიათო და იქვე მიაყოლა — პოლიტიკურ წონას არ ვგულისხმობო, მაგრამ სააკაშვილმა მაინც არ გაამხილა საქართველოში დაბრუნების და ბიძინა ივანიშვილის დამარცხების რა კონკრეტული გეგმა აქვს და როგორ აპირებს მოქმედებას.

პატივცემულო პროკურორო გვარამიავ, რას შეუჩნდით თქვენ ამ „პატიოსან“ კაცს — გამიმხილე შენი პოლიტიკური გეგმებიო.

არა აქვს, ბატონო, ამ კაცს პოლიტიკური გეგმა და რა ჰქნას, მოგატყუოს?

სააკაშვილს თუ რაიმე გეგმა და მიზანი აქვს, აქვს ერთადერთი: — როგორმე ათი მილიარდი შეაწეროს სრულიად მსოფლიოს ემიგრანტ ქართველობას!

ფულის შეწერაში, ადამიანების დაყაჩაღებაში, რეკეტსა და გამოძალვაში დაოსტატებულ სააკაშვილს სხვა გზა არ დარჩენია — საქართველოში მას ფულს არავინ მისცემს, არც საქართველოს გარეთ გაიკრავენ ჯიბეზე ხელს პოლიტიკურ ბომჟად ქცეული სააკაშვილის ხუშტურების დასაფინანსებლად.

დარჩა ერთადერთი იმედი — ემიგრანტები!

თუმცა აქაც ცდება ბოღმისა და შურისძიების წყურვილით გონებაამღვრეული სააკაშვილი — ემიგრანტებმა რატომ უნდა გაიღონ მილიონები და მილიარდები იმისათვის, რომ საციხოდ გამზადებული სააკაშვილი წაიმძღვარონ წინ და ასე შემოვიდნენ საქართველოში, როცა ამის გაკეთება სააკაშვილის გარეშე ნებისმიერ დროს შეუძლიათ და ამისთვის არც მილიონების გაღება დასჭირდებათ და არც მილიარდების.

რაც შეეხება ზოგადად ემიგრანტების თემას, ეს საკითხი რომ ხელისუფლების მხრიდან სერიოზულად არის მისახედი, ფაქტია.

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, ხომ გაგიგონიათ.

მთის ალორძინება იწყება, ანუ დადგა ჟამი ეშმაკთა წასვლისა და კაცთა მოსვლისა

…კაცს ვაქცევ კაცად, ქალს ვაქცევ ქალად, ცხენს ვაქცევ ცხენად, შევქმნი ლაშქარს და სახელმწიფოს! — ამბობს ხეთების ხელმწიფე ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე XV საუკუნეში…

ვფიქრობ, რომ ეს გენიალური აზრია! ხეთების მეფემ იცოდა — თუ ადამიანი ადამიანს არ ჰგავს, პირუტყვი — პირუტყვს, ქვეყანას ვერ ააშენებ!

თუ ადამიანს ღირსებას და სიხარულს არ მიანიჭებ, ის პიროვნება არ იქნება! თუ არ მისცემს საარსებო სივრცეს და კანონს, სადაც მორალი გამოარჩევს ადამიანს ცხოველისგან, სახელმწიფოს ვერ შექმნი.

უმორალო და უსამართლო ქვეყანაში, სადაც მხოლოდ „გამოხატვის თავისუფლება“ აკერიათ იარლიყად და ემბლემად, ცხოველიც კი „უწურთნი“ დადის და „უწესოდ იქცევა“…

ამდენად, უნდა ჰგავდეს კაცი კაცს, ქალი — ქალს, ხელისუფალი — ხელისუფალს, რომ ქვეყანა ქვეყანას დაამგვანო, რომ ადამიანებს მისცე რწმენა და სიყვარული და აქციო ღირსეულ მოქალაქეებად, ცხენი ცხენს უნდა ჰგავდეს და ხარი — ხარს და არა — თხას…

ასეთია მთავარი და მარტივი მორალი, რომელიც ხეთების მეფემ იცოდა, ჯერ კიდევ მაშინ…

●

„ჯვარს ჯარნი აჯვარებენ, ჯართ კაცნი აჯარებენ!..“ წავლენ კაცნი, ეშმაკნი მოვლენ!“ — „ჯვარნი უკაცოდ ვერ იჯვარებენ, მკვდარნიც (მიცვალებული) ცოცხალთა სიცოცხლით არიან!“ — ბრძანებს ხევსური ხევისბერი გუდანის ჯვარში…

ესეც გამორჩეული ანდრეზული სიბრძნეა, რომელიც გვეუბნება, რომ თუ კაცნი არ არიან, თუ ჯარზე ადამიანთა კრებული არ ჯდება, იქ არც სალოცავი იქნება, არც მლოცველი, არც მეომარი ლაშქარი… ეკლესიას (სოფელს) ეშმაკნი დაეპატრონებიან, მკვდარნიც არ იარსებებენ: „მკვდარნიც ცოცხალთ არსობით არიან!..“

ეს საკრალური ცოდნაა: „ადამიანი ღმერთმა შექმნა ხატად თვისად გააჩინა მიწაზე, ჩაჰბერა სული, რომ უდაბური წყალთა და კოსმოსის სამყარო, გააცოცხლოს და აავსოს სიხარულით, სიყვარულით და სასოებით.

ღმერთმა იცოდა და ხევისბერმაც იცის, რომ „კაცთა გარეშე“ სოფელი და სამყარო ვერ იარსებებს: „მკვდარნიც ცოცხალთა სიცოცხლით არიან!“ — აი მარადიული სიბრძნე და დილემა — „ცოცხალ კაც ხედავს მზეს, ცოცხალ ტირის, ცოცხალ იცინის“ (ქადაგის ფრაზა).

●

არსებობს მესამე ჭეშმარიტება ფოლკლორში და თემის ცნობიერებაში, რომელიც ჰგავს წინა ორ სიბრძნეს:

„სოფელი ვინ და ერთი კაციო!“ — ამბობს თემი. დიახ, ერთი კაცი შეიძლება „მორალიც იყოს“ და სოფელიც!

თუ აყრილ სოფელში ერთ კაცს დავაბრუნებთ, ნასოფლარი მაშინვე სოფლად იქცევა, ცეცხლს დაანტებს და სტუმარსაც (გნებავს, ლტოლვილს) გაათბობს…

თუ ერთკაციანი სოფლიდან ის ერთიც აიყრება და წავა: სოფელი მაშინვე უდაბური შამბის და „ტყის უდაბნოდ“ იქცევა… უკაცური ან ერთკაციანი სოფლების სევდამ და ტრაგედიამ მოიცვა ჩვენი ქვეყანა!

უკაცურობის და კაცთა არყოფნის „სინდრომი“ სჭირს ჩვენს ერს და სახელმწიფოს…

ერი აყრილია და წასულია საკუთარი მამულიდან და მიწა-წყლიდან…

გვეკარგება მამული და ერი! ვინაიდან ერი უმიწაწყლოდ, უსამშობლოდ არ არსებობს! სამშობლო მამულია, სადაც წინაპრები იშვნენ, სადაც ჩვენ ვართ და მომავლები იქნებიან!

ჩვენ ვტოვებთ მამულს, ამასთანავე, ენას და სარწმუნოებას და მორალსაც, რადგან არაფერი არსებობს ვირტუალურად მამულისა და სამშობლოს გარეთ!

არ არსებობს რომელიმე ჭეშმარიტება მამულისა და სამშობლოს გარეთ, სამშობლოს გარდა!

და ჩვენ გვეყრება აყრილი და უსამშობლო ერის სინდრომი და ხიფათი…

ყოველივე ამას კიდევ ერთხელ ჩვენი გონიერი ადამიანების და, უპირატესად, ხელისუფლების საყურადღებოდ ვამბობ: „როდესაც „კაცნი წავლენ, ეშმაკნი მოვლენ!“ — ასეთი რამ დაემართა ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით ჩვენს მთიანეთს, ერის დამცავ „სოლარულ სარტყელს“, რომელიც „ოზონურ გარსივით“ იფარავდა ჩვენს ქვეყანას…

ეს „გარსი“ თანდათან გათხელდა და გაქრა!

მაგალითად, გუდამაყარში კილტოხიდან ბაკურხევამდე 6 სოფელი იყო და ყველა აყრილია…

მაგალითად, ხევსურეთში, გუდანიდან ზეისტეჩომდე 7 სოფელი იყო (ჩნუბა, აყნელი, ბაცალიგო, ატაბე, ზეისტეჩო, წინხადუ, ხადუ) — 90-იან წლებში იქ ჯერ კიდევ ხალხი იყო და კინოს ვიღებდი, ახლა ერთი კომლია დარჩენილი…

ასეთივე ვითარებაა ბევრგან ჩვენს მაღალმთიან ზოლზე, სოფლები უკაცურ „ტყის უდაბნოდ“ გვექცა. ნასახლარები და კარ-მიდამოები, სახნავ-სათესი სავარგულები და ხოდაბუნები „ტყემ შეჭამა“!

სასაოფლო, სათემო, სახატო გზები და ბილიკები დაიკარგა, ტყეში ჩაიძირა!

დაბრუნებულ ადამიანს, დაბრუნების მსურველს თავის დროზე დეპორტირებულს და ძალადობით აყრილს, მამა-პაპის ნაფუძარში ტყე და სატყეო არ უშვებს. ტყე და სახელმწიფო ერთად ართმევს, ნაცვლად იმისა, რომ ძველი სავარგული მამულები, რომელსაც თემი საუკუნეების მანძილზე აკულტურებდა, აღუდგინოს და ისე დაუბრუნოს!..

ვითარება დრამატული და პარადოქსულია — თემ-სოფლებში ხალხი ვერ შეგვყავს, არც მთის ფონდი ეხმარება და არც კანონი! თუ მკვიდრ მოსახლეს ვერ დააბრუნებ, თუ წამსვლელს ვერ გააჩერებ, ვირტუალურ სივრცეში ჩარჩები…

●

საგანგებოდ, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ამ საღვთო ადგილებს დღემდე შემორჩა ტოპონიმების სახით ხატის ხოდაბუნები, საქერე მთები, საიფქლე გორები, საცერცვია-საბოსტნიები და ა. შ.

ამ ადგილებში ახლა კაციშვილი არ ჭაჭანებს და ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობის და მოსწავლეობის ხანაში წითელ-ყვითელი ყანები ბრდღვიალებდა…

მწვერვალებამდე იხვნებოდა ფშავ-ხევსურეთი. აქ განაწილებული იყო სამეურნეო ზონები. მოქმედებდა მთვარის ბრწყინვალე კალენდარი. ჭალის პირებზე დიკა და კხუმა ხარობდა, ალპურ ზოლზე სვილი და ჩარათი! ჩარათის იქით აღარაფერი ხარობდა! ეს ჩარათი უნიკალური ჯიში იყო, ჭალის ზონაში ქერ-შველად მოიქცეოდა, ალპურში კი ოთხშრიანი თავთავი იყო. მე არ ვიცი კიდევ არსებობს თუ არა ეს ჯიში.

— რა ინახავდა 12 მილიონ ქართველსო? — სნობები რომ იკითხავენ ხოლმე.

— ეს ინახავდა, მწვერვალებამდე რომ იხვნებოდა და იმკებოდა და არც ერთი ფუთი მარცვლის შემოტანა არ სჭირდებოდა გარედან რომელიმე კუთხეს მაშინ, როცა კანადა და ამერიკა საერთოდ არ არსებობდა!..

●

ეს ადგილები ახლა „ტყის უდაბნომ“ მოაშთო, ჭალის მურყანი ელვის სისწრაფით მიემართება ალპიური ზონისკენ და მთებს ფარავს.

მას 5 წელიწადში შეუძლია ტყის მასივების შექმნა, რომელიც გლობალურმა დათბობამ და წყალსაცავების ნესტმა საოცრად გაახელა.

შედის ტყე და გამოდის თემი. ჩვენ ვერ მივაშველეთ საქონლის ჯოგები, რომ გადაგვერჩინა სამეურნეო სივრცე, ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე რომ აკულტურებდნენ.

ეს დილემაა და სახელმწიფომ, ხელისუფლებამ უნდა იგრძნოს ამ დილემის სიმწვავე. სახელმწიფოს პრიორიტეტი სწორედ სავარგულების და ტრადიციული სამეურნეო სისტემების აღდგენა უნდა იყოს, თორემ აქ დაბრუნებული მეკომური ვერ იცხოვრებს, ვერც ვერავინ მოხნავს და ვერც დათესავს, ვერც პირუტყვს მოაძოვებს, ვერ მოიყვანს იმ უნიკალურ ენდემურ ჯიშებს, ზემოთ რომ ვახსენე, ვერ მოაძოვებს ფშაურ შავ-ჭრელ ცხვარს და უნიკალურ ხევსურულ ძროხას, დედამიწაზე ბადალი რომ არ დაეძებნება.

არადა, ჩვენს ერს, ადრე თუ გვიან, დაუდგება ის კრიზისული დრო, როდესაც, როგორც წყალი და ჰაერი, ისე დასჭირდება მთიანეთიდან მოდინებული სუფთა ნატურალური პროდუქცია და მაშინ იქნება ძალიან გვიან, თუ უკვე გვიან არ არის…

●

ჩვენ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ და ვერც ბოლო წლებში შევაღწიეთ ჩვენთვის (ქვეყნისთვის და ქალაქისთვის) საარსებო საკრალურ სივრცეში. ჩვენი თავის, ჩვენივე მორალის და „მატერიის“ გადასარჩენად…

●

აქ კიდევ გავააქტიურებ ამ თემას და ვიტყვი, ბატონი ზაქარია ქუცნაშვილი (მთიანეთის დეპუტატი) 62 მილიონს რომ აცხადებს მთის ფონდიდან დახარჯულად, ეს თავისთავად კარგია, მაგრამ რატომ არ დაიხარჯა ამ 62 მილიონიდან 10 მილიონი მაინც (თუნდაც 5 ან 3) მაღალმთიან ზონაში მოსახლეობის დაბრუნებისთვის?!

800-მდე კაცი დაბრუნდაო, აცხადებს ზაქარია.

სად დაბრუნდა ეს ხალხი? ალბათ, ჟინვალში, ანანურში, პირმისაანში… ან რომელიმე სხვა მთისწინეთში, ან დიდ სოფლებში და დაბებში…

არც ერთი ოჯახი (კომლი თუ კაცი) არ დაბრუნებულა ფშავ-ხევსურეთის, მთიულეთ-გუდამაყრის მაღალმთიან თემ-სოფელთა ზონაში! არც ერთი!

აყრით კი აიყარა და წავიდა არაერთი! მარტო ჩემი თემიდან წავიდა 5 ახალგაზრდა კაცი, რომელთაც იქ ცხოვრება და ფერმერული მეურნეობების შექმნა სურდათ. იქ მხოლოდ ერთი ქალი დარჩა, როგორც გოდერძი ჩოხელის „ადგილის დედაშია“!

ეს არის ჩემი პირადი ტრაგედია: მე ვერ შევძელი მათი დახმარება ხელისუფლებასთან შუამავლობით.

ჩვენ ვერ შევძელით ვერც დამბრუნებელთა დაბრუნება მთის ფონდის უფუნქციო ფუნქციით!

მამა-პაპის ნაფუძარის დარეგისტრირებასაც ვერ ახერხებს ხალხი იქ „ღობის არქონის“, „სახლის არარსებობის“, „ეზოგარემოში ტყის გაჩენის“ მიზეზით და მოტივით…

თუ ამას საგანგებო კანონი სჭირდება, შეცვალეთ და მიეცით ხალხს საკუთარ მამულში შესვლის და დაბრუნების საშუალება, თორემ იქ სხვა შედის თითქმის დაუბრკოლებლად…

●

ბატონო ხელისუფალნო და დეპუტატებო, ხევისბერი სწორად (ზუსტად) ასახელებდა მოვლენას და აღასრულებდა შესაბამის მისტერიას.

დაასახელეთ მოვლენა სწორად და დაარქვით სახელი. ჩვენ მაღალი, უნიტარული სივრცის ზუსტი მოდელი გვჭირდება, იქ არის მუშაობა საჭირო, ნიჭი და იმპროვიზაცია...

მთაზე მიკრულ „დიაცის უბესავით“ სახლს და სოფელს, ნიშს და სალოცავს როგორ გადაარჩენ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი! მერე ეს აღდგენილი სივრცე ენერგეტიკულ ველს გიბრუნებს უკან!

ეს არ არის „ისრაელის უდაბნო“, ოაზისად რომ აქცია სემიტთა რასამ, ჩვენი ქვეყანა თავად არის „ოაზისი“, რომელსაც უდაბნოდ ქცევის ხიფათში ვამყოფებთ...

●

მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ კრიზისული სურათისა, რომელსაც მე აღვწერ, მაინც ხდება რაღაც, რაღაც იბადება, იცვლება, განგება აჩენს და აყენებს ახალ მოვლენას. კერძოდ, დაბრუნდა ადამიანი, რომელმაც თქვა თავის დროზე: „**დავბრუნდები, თუ ქვეყანას ძალიან გაუჭირდა**“ და ის მართლაც დაბრუნდა.

„დაბრუნება, ანუ მეორედ მოსვლა“ დავარქვი მე წერილს, რომელიც ივანიშვილის დაბრუნებამ მიკარნახა და მე გამიჩნდა განცდა, რომ რაღაც უნდა შეცვლილიყო დროში და ერის საარსებო სივრცეში რადიკალურად, მკვეთრად, გონივრულად.

„მან უნდა გააკეთოს რამდენიმე რადიკალური სვლა პოზიციის მოსაგებად, რომელიც შეცვლის ვითარებას, როგორც პოლიტიკაში, ასევე კულტურასა და ეთნო-ფსიქიკა-ეკონომიკაში. მან უნდა შექმნას მოქმედების სხვა, მოულოდნელი სისტემა და გრაფიკი. თუ ასე არ მოხდა, ეს გიენები თვითონ შეჭამენ მას“. ეს ფრაგმენტია ჩემი წერილიდან

●

როდესაც ენიგმური პიროვნება ბრუნდება (ან მოდის), ის ცვლის საარსებო სივრცის ერთიან აურას და ეყრდნობა ვიღაცას და რაღაცას.

ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო მოქმედება:

— მოუხსნა დავალიანება ბანკებზე ჩამოკიდებულ 600 000 ადამიანს!

— მან აღადგინა სოფლის დახმარების პროგრამა. ყოველ სოფელს ეძლევა თანხა სოფლის ეთნოკულტურული და ინფრასტრუქტურული საჭიროებებისთვის!

ეს თავისი არსით მეტად მნიშვნელოვანი პროექტია.

დაწესდა მთის დღე — 6 ივლისი და „მთიანეთის ფონდს“ (და კანონს ზოგადად) მიენიჭა ის მისია, რასაც ჩვენ კატეგორიულად ვითხოვდით ამ წლების მანძილზე — მაღალმთიანი თემ-სოფლების დაბრუნების და აღდგინების, მათი ტრადიციული სამეურნეო, ეთნოკულტურული პროექტების ამოქმედების თვალსაზრისი თ.

— ცოტა გვიან, მაგრამ დავიწყოთ! — თქვა პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** ამ დღესთან დაკავშირებულ შეკრებაზე დიდუბის III პავილიონში.

კარგი და სწორი იყო მისი სიტყვა: დავიწყეთ, მაგრამ ცოტა გვიან!“

ამაზე შეიძლება ითქვას: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...“

ყველა მინისტრი იყო მობრძანებული „მთის დღეზე“, ყველა რეგიონის ხელმძღვანელი.

დაანონსდა მთის ფაკულტეტის გახსნა პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში!

მე მართლაც ვიგრძენი და მომეჩვენა, რომ რაღაც დაიწყო, რაღაც ახალი იმპულსი გაჩნდა, რომელიც მანამდე არ იყო..

დაიწყო სახელმწიფო საკადრო და სტრუქტურული ცვლილებები, რაც თანდათან მკვეთრი და შესამჩნევი ხდება საკმაოდ მოკლე დროში. ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს რეგიონებისა და პროვინციების სივრცეზე.

იწყება სოციალური დაცვის გააქტიურების პროცესი. ეს პროცესი უფრო აქტიური უნდა გახდეს ერში ფეოდალური საბანკო ტირანიის დასაძლევად და ერის გასაყვანად მონათმფლობელური მენტალობიდან.

საზოგადოების მენტალური და მატერიალური თანაბრობა ხელისუფლების და პირადად **ბიძინა ივანიშვილის** უმთავრეს მისიად უნდა იქცეს!..

●

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ **ბიძინა ივანიშვილმა** თქვა, რომ ის ერთ წელიწადში შეცვლის ყველაფერს და არავის მისცემს ნებას კაბინეტებში ჯდომის. წინასაარჩევნო პროცესი მუდმივ

პროცესად და წესად უნდა იქცეს და ხელისუფალნი უნდა იყვნენ გარეთ გასულნი, ხალხთან.

აი, ეს უმნიშვნელოვანესი იდეა გააჴმოვანა მან, რომელიც მე დავინახე რეალურად.

მინისტრებმა და პარლამენტარებმა დაიწყეს ჩაკეტილი კაბინეტებიდან გასვლა და ხალხთან მიახლოება. ეს, ვფიქრობ, ყველაზე პოზიტიური მოვლენაა — გათიშული ხალხი და ვაკუუმში მყოფი ხელისუფლება ვერასოდეს ააშენებენ ერთიან სახელმწიფოს...

●

მე ძალიან მომეწონა და კმაყოფილი დავრჩი, როდესაც დუშეთის და რეგიონის პრობლემებზე აქ მოსული მინისტრები, დეპუტატები, გუბერნატორები, ძველი და ახალი მერები (გამგებლები) და საზოგადო მოღვაწეები დავინახე.

აქ იყო საქმიანი საუბრები დუშეთის კეთილდღეობაზე, ამ ძველი ისტორიული ქალაქის ჩართვაზე „მთის კანონის“ მოქმედების არეალში.

იმედიანად ვუყურებ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის **ზურაბ სეხნიაშვილის** საქმიანობას. ინიციატივიანი, ენერგიული და, რაც მთავარია, წესიერი და პატრიოტი-კაცი ჩანს იგი.

დუშეთი, შეიძლება ვთქვათ, რომ ფხოვის მთიელთა დედაქალაქია. ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი (არც მოხევეთა თემია შორს) მის ისტორიულ პერიმეტრზე მდებარეობს და დაცვის ისტორიულ სიბრტყეს ქმნის. მთიელები აქ არიან თავმოყრილი.

მიუხედავად თავისი ისტორიულ ღირსშესანიშნაობებისა —მუზეუმებისა, კულტურული და არქეოლოგიური ცენტრებისა, კინოთეატრებისა (მარტო ილია ჭავჭავაძის სახელი რად ღირს), დუშეთი მოწყვეტილია მთავარ კავკასიურ მაგისტრალს და მარცხნივ, სამხრეთ-დასავლეთით, კუნძულივითაა გარიყული. ამდენად, აქ პირდაპირ ტურისტი და მგზავრი ვერ ხვდება. დუშეთს საგანგებო სტატუსი და პიარი სჭირდება, რომელიც მგზავრს შესახვევიდან პირდაპირ დუშეთისკენ შეაბრუნებს.

სასიხარულოა ის მოვლენა, როცა მინისტრები: **მაია ცქიტიშვილი, ლევან დავითაშვილი, სოზარ სუბარი** და სხვები არა ოდენ

დუშეთში, მთის თემებში: მთიულეთ-გუდამაყარში, შატილში, არხოტში, ლიქოკში, სვანეთსა თუ რაჭაშიც გამოჩნდნენ, პროვინციებში შევიდნენ და ხალხს ფუტკრის სკები და სხვა ნობათი მიართვეს.

●

ჩემთვის მეტად საყურადღებო იყო მცხეთა-მთიანეთის ახალი გუბერნატორის ბატონი **შალვა კერესელიძის** გამოჩენა, სიტყვა და პოზიცია. მთის პრობლემების ხედვა და კონკრეტულ პროექტებზე საუბარი.

ვფიქრობ, რომ ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი აქ ბევრ რამეს გააკეთებს, თუ მხარს დაუჭერენ და მოუმენენ. თუ იგი თავადაც ყურს მიუგდებს სწავლულთა ხმას და სიტყვას.

ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს ქალბატონი **მაია ცქიტიშვილი**. მან პირდაპირ მიამაგრა აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომისიას თავისი წარმომადგენელი — ქალბატონი ნინო გიორგობიანი, რაც ხელისუფლების მეცნიერებისკენ შემობრუნების კარგი ნიშანია. ეს ადამიანები აქტიურად მოქმედებენ მთიანეთის პრობლემებზე, მკვეთრად გააქტიურებულია სახელმწიფო მომსახურების, დანამატების და პენსიების ზრდა ექიმებისა და პედაგოგებისთვის მთაში.

2019 წელს ფშავ-ხევსურეთსა და გუდამაყარში ჩაირთვება ინტერნეტი.

— ერთ-ორკომლიან სოფლებს, სადაც არ წვდება ელენერგია, მიეწოდება ალტერნატიული (მზის) განათება;

— ფშავ-ხევსურეთი ცხადდება დაცულ ზონად, რაც გააჩენს ახალ სამსახურებს და სამეურნეო-ტურისტული გარემოს მოწყობის პერსპექტივას.

აქვე უნდა ითქვას, ამ დაცულმა ზონამ არ უნდა შეუქმნას მთიელებს ბარიერები სამეურნეო თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, რომ ამ სეგმენტში მეტად მნიშვნელოვანი იქნება ეთნოკულტურული საკულტო გარემოს შენარჩუნება და ტრადიციული ძველი სამეურნეო ცოდნის და გენოფონდების აღდგენა.

კაცია კაცის წამალი, — ამბობს ხევსურული მითი. როდესაც „მიხვალ და ნახავ“ (კეისარი), ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც შეიცნობ და უშველი.

●

ბიძინა ივანიშვილის მობრუნებამ სწრაფად შეცვალა ვითარება და მე ვფიქრობ, თანდათან უფრო შეცვლის, არ ჩაიძინებს და არავის ჩააძინებს, საზოგადოებამ და ქვეყანამ გაღვიძება დაიწყო.

მაგრამ რჩება უმთავრესი პრობლემა: ზნეობრივი დეპრესია, ერის მორალური სივრცის გაჯანსაღება!

ჩვენ უნდა დავიწყოთ ქართული მწერლობის და ხელოვნების რეაბილიტაცია, ქართულ მწერლობას უნდა დაუბრუნდეს ისტორიული მისია.

ქართული სახელმწიფო და მწიგნობრობა ერთად იშვნენ. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს უნდა გააცნობიეროს!

და ბოლოს, რეზიუმეს სახით ვიტყვი:

— ეშმაკი თიშავს და ღმერთი აერთიანებს, — ბრძანებს ილია II.

ივანიშვილი დაბრუნდა, „შეაერთა და არ გათიშა!“ და მოქმედებს

სწორად და ფრთხილადაც! მაგრამ ეტყობა, რომ არ არის ადვილი ბრძოლა მორალისთვის ულტრალიბერალური ფაშიზმის წინააღმდეგ.

საჭიროა კანონი „გამოხატვის თავისუფლების“ გაადამიანურებისთვის.

კოჰაბიტაცია საზოგადოებისთვის ზნეობრივ ძალადობად რჩება.

ეტყობა, ბოლომდე ვერც ღმერთი სჯის ბოროტს, რადგანაც ბნელი სამყარო მეტად „ბევრი“ და ძლიერია.

ამას ვერც ივანიშვილი ახერხებს.

ადამიანები ასე ცხოვრობდნენ დასაბამითგან — ბოროტსა და კეთილს შორის.

ჩვენც, სამწუხაროდ, ასე გვიწევს ცხოვრება!

კობა არაბული,
მწერალი, ეთნოლოგი
595 57 99 43

ჩემი აზრით, მოცემულ სიტუაციაში მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა შეცდომაა

გვესაუბრება „იურისტთა და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძრვანელი, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე.

— ბატონო გრიგოლ, აგერ უკვე თვეზე მეტია, ჩვენს ქვეყანაში სასამართლო სისტემაზე, კერძოდ, მოსამართლეთა გამწესებაზე ვნებათაღელვაა. თქვენ როგორ შეაფასებთ მოვლენებს?

— პატივი მქონდა, მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციას დავსწრებოდი, რომელიც რამდენიმე დღის წინ იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა. სიტყვაში გამომსვლელთა რაოდენობა ბევრი იყო. ძირითადად, აქტიურობდნენ ადეიშვილის მიერ დანიშნული მოსამართლეები. ჩემი აზრით, მოსამართლეთა უდიდესი ნაწილი სასამართლოს დამოუკიდებლობის მიმხრეა, რაც, თავისთავად, დადებითი ტენდენციაა. დღევანდელი, მოქმედი ხელისუფლება ცდილობს, ქვეყანაში სასამართლო სისტემა ავტონომიური იყოს. თუმცა გამიჩნდა მოსაზრება, რომ წინა ხელისუფლების, ნაცრეჟიმის დროს დანიშნული მოსამართლეები, შესაძლოა, ჯერაც ვერ გათავისუფლდნენ იმდროინდელი ჩინოვნიკების გავლენისგან პირდაპირ თუ ირიბად. ფაქტობრივად, ჩანს, რომ საერთოდ, სასამართლო სისტემა თავისუფალია ხელისუფლების გავლენისგან, მაგრამ ვეჭვობ, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლდნენ დამნაშავე ჩინოვნიკების დამოკიდებულებიდან. მათი ჩუმი მორჩილები არიან. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ საკმაოდ დასახვეწია. ხშირია, როდესაც ადამიანს კარიერულ წინსვლაში ვინმე დაეხმარება, ამ შემთხვევაში მოსამართლეებს ვგულისხმობ, იმ ჩინოვნიკების ვალდებულად თვლიან თავს. ეჭვი მაქვს, რომ ასეთი მოსამართლეები დღესაც მუშაობენ. დღევანდელი ოპოზიციის პოლიტიკური სპექტრი საჯაროდ თამაშობს, არაობიექტურობას აბრალებენ და ემდურებიან სასამართლო ხელისუფლებას. იმაზე არ საუბრობენ, რომ მოსამართლეთა ნაწილი მათი რეჟიმის დანიშნულია. თუმცა ცდილობენ, სიტუაცია სათავისოდ გამოიყენონ და ხალხს თავი მოაჩვენონ, თითქოს სამართლის დასამკვიდრებლად იბრძვიან.

— სასამართლო სისტემის რეფორმირებაზე საუბარი დიდი ხანია გვესმის, მაგრამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა. ხელისუფლების გარდა, არასამთავრობო სექტორიც ითხოვს ცვლილებებს.

— დიახ, ასეა.ორი კვირის წინ ეკა ბესელიასთან იყო შეხვედრა. სხვა არასამთავრობოებთან ერთად ჩვენი ორგანიზაციაც ვესწრებოდით. ფაქტობრივად, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ემხრობა სასაართლო სისტემის რეფორმირებას. როგორც ძალოვანი სტრუქტურების თუ პროკურატურის სასასმართლოს რეფორმაც ფაქიზია, განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. ვფიქრობ, აუცილებელია სასამართლო სისტემაში ახალი ხალხი მოვიდეს, ახალი მოსამართლეები მოვიდნენ, აღზარდონ, კვალიფიცირებულ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ. როგორც ამბობენ, სისხლის გამოცვლაა საჭირო. მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსასმართლეთა შემადგენლობა გადახალისებას საჭიროებს. ჩვენს შემთხვევაში კი ნახეთ, რა ხდება — თუ სასამართლო სისტემაში არ გაქვს ნამუშევარი, ფაქტობრივად, არ გეძლევა შანსი, გახდე მოსამართლე. პროკურატურიდან შეუძლიათ გადავიდნენ სასამართლოში და გახდნენ მოსამართლეები, მაგრამ ადვოკატურიდან მხოლოდ ერთეულები არიან მოსამართლეებად გამწესებული. არადა, ვიცი, რომ ბევრ ადვოკატს აქვს სურვილი, მოირგოს მოსამართლის მანტია. ეკა ბესელიასთან შეხვედრაზე გამოიკვეთა აზრი, რომ გაიმართოს კონკურსი, სადაც თითოეული მოსამართლის ადგილზე რამდენიმე კანდიდატი დასახელდება. ამას მხარს უჭერენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე დეპუტატებიც. მაგალითი გვაქვს, როდესაც სტრასბურგის მოსამართლის არჩევანი განიხილებოდა, პირველ ეტაპზე სამოცამდე კანდიდატი იყო, ბოლოს სამი დარჩა და იქიდან ერთი გავიდა. რაც უფრო გამჭვირვალეა კონკურსი და ბევრი ადამიანი მონაწილეობს, პროცესები სამართლიანად, ობიექტურად და საინტერესოდ წარიმართება. შესაბამისად, ხელისუფლებასაც ექნება სათქმელი, პროცესი სამართლიანად ჩავატარეთო. ამასთან, თავიდან აიცილებს ნეპოტიზმს, როდესაც მოსამართლეთა გუნდი თუ სხვა მოხელეები ცდილობენ, თავიანთი ახლობელი სასურველი პიროვნება გაამწესონ მოსამართლედ.

— დეკემბრის მიწურულს იუსტიციის საბჭომ პარლამენტში წარადგინა მოსამართლეთა დასამტკიცებელი სია, რომელმაც პროტესტი გამოიწვია. რატომ ითხოვდა, აღნიშნული ორგანიზაცია ნაუცბათევად გაემწესებინათ უვადოდ უზენაეს სასამართლოში მოსამართლეები?

— სავარაუდოდ, გარკვეულ ჯგუფს სურდა, თავიანთი სამეგობრო, საახლობლო ჯგუფის დანიშვნა სასამართლოს ზედა ინსტანციაში, რათა განეხორციელებინათ სხვადასხვა საკითხებზე ლობირება. ამ ტენდენციამ თავი მკვეთრად ბოლო პერიოდში იჩინა. მიზეზი კი ახალ კონსტიტუციაში ამოქმედებული მუხლი გახლავთ, რომლის 61-ე მუხლით, უზენაეს სასამართლოში იუსტიციის საბჭოს წარდგინებით ინიშნებიან მოსამართლეები. ანუ, საბჭო წარადგენს პარლამენტში კანდიდატებს და განხილვის შემდეგ საკანონმდებლო ორგანო ამტკიცებს. სავარაუდოდ, ამიტომაც იჩქარა იუსტიციის საბჭომ და წარადგინა მისთვის სასურველი კანდიდატები, რამაც გამოიწვია საზოგადოებაში აღშფოთება.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ კომპლექტდება საკონსტიტუციო სასამართლო. კონსტიტუციის მე-60 მუხლის თანახმად, იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა ათი წლის ვადით ირჩევა. ცხრა მოსამართლიდან სამს ნიშნავს პრეზიდენტი, სამს პარლამენტი, სამს უზენაესი სასამართლო. კონსტიტუციის მე-60 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა 12-ით განისაზღვრება. ვფიქრობ, აქ შეიძლება სამი კვოტის დასახელების უფლება სამოქალაქო საზოგადოებას მივცეთ, რათა უფრო გამჭვირვალე იყოს იუსტიციის საბჭოს დაკომპლეტების პროცესი.

— თქვენ როგორ მიგაჩნიათ, შესაცვლელია თუ არა დღევანდელი იუსტიციის საბჭოს შემადგენლობა?

— არსებობს რისკი, რომ არსებული იუსტიციის საბჭო იგივე კონტინგენტს წარადგენს, ანუ დაწუნებულის მსგავსს. როდესაც ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდა, ვხედავდით ხმაურიან იუსტიციის საბჭოს სხდომებს. ფაქტობრივად, ადეიშვილის დროინდელი მოსამართლეები უტევდნენ ნინო გვენეტაძეს. ძველი მოსამართლეების ერთიანობამ გამოიღო ის შედეგი, რაც დღეს გვაქვს — ნინო გვენეტაძე გადადგა. სასამართლო რეფორმების გატარება ნინო გვენეტაძეს არ დაუცალეს. ამიტომაც ვთვლი, რომ შესაცვლელია. იმ დროსაც ვამბობდი, რომ იმ მოსამართლეთა დაწინაურება არ შეიძლებოდა, რომელთა გამოტანილი განაჩენის გამო სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს სახელმწიფო დააჯარიმა. პიროვნულად არავის ვერჩი, არავისთან მაქვს პრეტენზია. იმ მოსამართლეთა დაწინაურებით სხვა, პატიოსან მოსამართლეებსაც გაუჩნდებათ პრეტენზიები იმ შემთხვევაში, თუ სტრასბურგის სასამართლო მათ განაჩენსაც გაამტყუნებს. გაჩნდება უსამართლობის წახალისების ტენდენცია, რაც ევროკავშირისთვის მიუღებელია. ამასთან, მიმაჩნია, მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა და აბსოლუტური დამოუკიდებლობის მინიჭება დღეს დაუშვებელია.

— ბატონო გრიგოლ, დღეს ცილისწამება ჩვეულებრივ ნორმად იქცა. როგორ უნდა დავიცვათ ადამიანი, რომლის უფლებებიც ირღვევა ცრუ ბრალდებების გამო?

— სისხლის სამართლის კოდექსში ცილისწამებისთვის არსებული მუხლი 2005 წელს გაუქმდა, რაც დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული. თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიტიკოსებისა თუ მედიასაშუალებების მხრიდან მძაფრად ხდება ცრუ ინფორმაციების გავრცელება. მათთვის მთავარია, ტალახი ესროლონ, ჩირქი მოსცხონ ადამიანს თავიანთი მიზნებისთვის. ცილისწამების მუხლის აღდგენაზე ბოლო წლებია, აქტიურად მიდის საუბარი, მაგრამ ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობოთა ნაწილი აქტიურად ეწინააღმდეგებიან ამას. არასამთავრობოები ადამიანის უფლებების დაცვას ასახელებენ წინააღმდეგობის მიზეზად. ეჭვს იწვევს პოლიტიკური პარტიების თუ ოპოზიციის წინააღმდეგობა. მათი მიზანია, ცილი დასწამონ, დააკნინონ ქვეყანაში მიმდინარე დადებითი პროცესები, ხელისუფლება, ტყუილებით მიაღწიონ საწადელ მიზანს.

მე პირადად მომხრე ვარ, ნებისმიერმა ადამიანმა პასუხი აგოს ცილისწამების გამო. თუმცა თემა საკმაოდ ფართომასშტაბიანია და ბევრ მსჯელობა-დისკუსიას საჭიროებს.

გია ბურდული
551 71 27 07

დიდი წარსული აქვს გიგილოს, ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ დანარჩენი ყველაფერი მომხდარა — ჯერ იყო და სიდებილის მარწუხებიდან ძლივს გამოვიდა... გამოვიდა რა, ხშირად ახლაც კი მოერევა ხოლმე ბავშვობის ავადმყოფობა, მაგრამ რა შედარებაა, ეხლა ტელევიზიებშიც იწვევენ, ჭკუასაც ეკითხებიან, გარკვეულ წრეებში პატივსაც სცემენ და ბოლო-ბოლო, თბილისის თავადაც კი მუშაობდა.

გიგილომ მაცივრის კარი გამოაღო. წუთით ჩაფიქრდა. ვეღარ გაეგო, რა უნდოდა მაცივართან. ჰო, ერთი ჭიქა ვისკი არ აწყენდა ცხელ გულზე. ბოლო დროს ცდილობს, კალაძის გამოხტომების გამო აღარ ინერვიულოს, მაგრამ არ გამოსდის. აბა, როგორია, ვეებერთელა ქალაქი ებარა, ყოველ კუთხე-კუნჭულს, ყოველ გოჯს აკონტროლებდა, ელიტარული ბომონდი მის ფეხქვეშ იყო გართხმული, მოვიდა ვიღაც სამტრედიელი მობურთალი და იძახის, მთაწმინდიდან გამოქანდითო. ჰმ... „ტოჟე მნე, გამოქანდი“!

გიგილომ ვისკით სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გადაჰკრა. ქვედა ტუჩი ნებიერად გამობურცა, როგორც ტელევიზორში იცის ხოლმე, ძალიან გაავებულის როლს როცა თამაშობს, მერე ტახტზე მიესვენა და კვლავ განაგრძო საკუთარ თავთან საუბარი: არც კი ვიცი, რა ვთქვა, როგორ ბედავს ეს ავტოგოლების ავტორი? საერთოდ, როგორ მეზომება, როგორ მეტოლება და რანაირად ლაპარაკობს ჩემზე? არა, კი ვიყავი დებილი ბავშვობაში, სულ ბებიას დავყავდი ხელჩაკიდებული, მაგრამ ეგ როგორი იყო იმ დროს? მამამისი დაატარებდა მოედნიდან მოედანზე, ბურთის მეტი არაფერი იცის... ეგეც არ იცის ხეირიანად. ხალხს აბოლებს, ფეხბურთელი ვიყავიო, არაფერიც არ იყო. თუმცა იყო, როგორ არა, მაგრამ „ტოჟე მნე, ეგეც ზინედინ ზიდანი, რააა“!

გიგილოს კიდევ მოუნდა დალევა. ისევ მივიდა მაცივართან, ისევ გაალიპლიპა ვისკით ხრუსტალის ჭიქა. ლოყები შეეფაკლა. საკუთარი თავიდან მერცხლების ჭიკჭიკის ხმა მოესმა. სულ ასე ემართება, როცა სვამს. არა, როცა არ სვამს, მაშინაც ესმის ხოლმე ჭიკჭიკი, მაგრამ ხმა სუსტია, თითქოს მშობლიური ხონიდან მოდის. გიგილო სავარძელში ჩაესვენა... უკაცრავად, უფრო სწორად, ჩაეხეთქა. ჭიკჭიკით სავსე თავი უკან გადასწია და ისევ ფიქრებში ჩაიძირა. ისე, მეც ვთქვი სიბრძნე, რააა... თბილისის მოსახლეობამ სხვანაირად გაიგო, სად მაქვს მე ჩრდილი? უნდა მეთქვა, კალაძე ჩემი გავლენიდან უნდა გამოვიდეს-მეთქი. აი, რაც დატოლება-დაზომებაზე ვთქვი, ეგ კი მომეწონა. რას მეტოლება, ვინ არი, რო? ქალაქის თავობა ეგეთი იოლია?

ჩემზე იძახიან, 48 მილიონი მოიპარაო... ოჰ, ეს 48. მოვიპარე? ჯერ ერთი, მე კაცურად წავიღე და მეორეც — ხომ მოვიხადე სასჯელი? ისე, სადღაც კაი რამე ყოფილა ციხეში ჯდომა, როცა მილიონები გაქვს სადღაც. რაც მე იქ წიგნები წავიკითხე, იმდენი რომ ცხოვრებაში წამეკითხა, გენიოსი ვიქნებოდი. პრინციპში, კი ვარ გენიოსი, მაგრამ ამას მხოლოდ ტელეჟურნალისტები ამჩნევენ, მირეკავენ და ჭკუას მეკითხებიან. თუმცა რაღაცა მაინც მაკლია... ერთი ცოლი გამეყარა, მეორე — გამეპარა, მესამე სხვისი გამონაცვალია...

უჩრდილო გიგილო

პოლიტიკური ნოველა

ჩრდილი არ მაქვს. ვერ გავიგე, ამხელა ყაზილარს ჩრდილი არ უნდა მქონდეს? მიშას ბრალია, მაგ ჯართისა... ზოგს ცოლს ართმევდა, ზოგს კიდევ სიდედრს, მე ჩრდილი წამართვა. მიდიო, ფული აკეთე, შენცა და მეცაო, ვაკეთე, თავიდან ძალიან განვიცდიდი ჩრდილის დამოკლებას, მაგრამ მერე მივეჩვიე, ბოლოს კი საერთოდ დავიკიდე. მიშამ მირჩია, მენახა ფილმი „გრაფი დრაკულა“, რომელსაც თავიდანვე არ დაჰყვა ჩრდილი. ამის შემდეგ უფრო დავიკიდე არა მხოლოდ ეს, ბევრი სხვა რამეც. ჰოდა, ეხლა მე მეტოლება და მეზომება ეს მობურთალი.

კარზე კაკუნია. ნეტა ეს ვინღა ოხერია?

- გიგი, მე ვარ, ბიჭო, კარი გააღე!

- ჰო, მაცალე, რააა! — გასძახა გიგილომ და ურდული გადასწია.

- რას შვრები, ტოოო, ტელევიზორს არ უყურებ? — შემოქაქანდა ხაბეიშვილი, რომელსაც იღლიაში ქაღალდები ამოეჩარა ტრადიციულად.

- რა ხდება, რო?

- რა ხდება და... კალაძემ ინვესტორი გააჩუმა!

- რას ჰქვია, გააჩუმა?

- მორიგდნენ!

- არა, რააა, მიშა მართლა მაგარი იყო, თუ დაინახავდა, ვინმე რამეს აშენებდა და მოეწონებოდა, ეგრევე გააქანებდა ხოლმე პატრონს ვირის აბანოში, რა მოლაპარაკება, რომელ მაგიდასთან დაჯდომა?!

- ჰო, მაგაში მართლა მაგარი იყო... მახსოვს, ერთხელ გლდანში ვიყავით, რაღაც სირთაოზული ცენტრი გავხსენით... გავხსენით რა, ვიღაცამ ააშენა და ჩვენ „პროსტა“ წითელი ლენტი გავჭერით... გავჭერით რა, მიშამ კაჭრა... ჰოდა, იქიდან რო დავეშვით, რაც კი ახმეტელის მეტრომდე ტერიტორიები იყო, ყველა მოეწონა და ეგრევე ჩაიხვია, აქ ტრიუმფალური თაღი უნდა ავაშენო, მეპატრონეები დაიბარეთ და გადმოაფორმებინეთო. ღამის სამ საათზე დავიბარეთ, ერთი ავტომატი გავაჩხაკუნეთ, ძმაო, ლულა დავანახეთ და ყველამ ხუთ წუთში გადმოაფორმა, თანაც ჩუქებით!

გიგილო ისევ ჩაეხეთქა სავარძელში. ხაბეიშვილმა სკამი მიიჩოჩა და ფრთხილად ჩამოჯდა. წუთით დუმილი ჩამოწვა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში. ბოლო დროს ყოფილ მერს ანთებული ნათურებიც კი აღიზიანებს, სიბნელე შეუყვარდა... უფრო სწორად, ვეღარ იტანს ამ ხელისუფლების მიერ განათებულ ქუჩებს, სახლებს, სადარბაზოებს. სინათლე მხოლოდ მასთან, მის მერობასთან უნდა ასოცირდებოდეს.

- ლევან, რამეს დალევ? — იკითხა თვალებდახუჭულმა გიგილომ სასხვათაშორისოდ, თორემ ძალიანაც არ სიამოვნებს ადგომა და მაცივართან მისვლა.

- არა, ტოოო, აღარ ვსვამ.

- რატომ?

- რავი, როცა ვსვამ, თავში ყვავი მიჩხავის.

- ყვავი? არ გადამრიო, ჩემთან მერცხლები ჭიკჭიკებენ!

- ეეეჰ, ბედნიერი კაცი ხარ, ერთი ჩრდილი გაკლია, თორემ სხვაფრივ არაფერი გიჭირს. მე დავიტანჯე ყვავების ჩხავილით. ექიმთან ვიყავი, ნიკა მელიას მამას გავესინჯე, თავი გადააქნია და მითხრა, არაფერი გეშველება, უნდა შეეგუოო, აგერ, ჩემ შვილს კოდალა ჰყავს თავში, კაკუნით თავი უსკდება, მაგრამ ვერ ვშველიო, — ამოიოხრა ხაბეიშვილმა.

- მერე, შენც შეეგუე, მეტი რა საქმე გაქვს? — ჩაიღიმილა ირონიულად გიგილომ.

- ვეგუები, ძმაო... დავლევ თუ არა, ეგრევე ჩხავის, ეხლა ცოტა წყნარადაა. ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილო... ყვავი მიშას ხმაზე ჩხავის... დაიწყებს ხოლმე, სახში მინდა, სახშიო, აღარ ჩერდება. პერიოდულად გრიგოლიც შეუერთდება ხოლმე, პრეზიდენტი ვარ, პრეზიდენტიო.

- მაინც დალიე და დაიკიდე.

- ეგრე უკეთესი იქნება? — იკითხა იჭვნეულად ხაბეიშვილმა.

- აი, მე დავლიე და ეგრევე მოუმატეს ჭიკჭიკს მერცხლებმა, მაგრამ მკიდია, პირიქით, ეს ყველაფერი შთამაგონებს, რომ ჩემზე დიდი ადამიანი დღეს ამ ქვეყანაში არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილი არ მაქვს, ყველა დავჩრდილე, სწორედ ამას ვერ გაუძლეს ჩემმა ცოლებმა და ამიტომაც გაიქცნენ. თუმცა სად წავლენ, სად გაექცევიან ჩემს დიდებას? თუ ხარ, ელვარე უნდა იყო, ლევან, ელვარე და შარავანდედით შემკობილი. აბა, კარგად დამაკვირდი, ამ წუთას თავზე არ მადგას შარავანდედი?!

- კი, გადგას, ტოოო, საოცრებაა პირდაპირ, აქედან წმინდანობამდე ერთი ნაბიჯია, ასე გამიგონია გრიგოლისგან! — ჯერ ტაში შემოჰკრა ხაბეიშვილმა, მერე კი წამოხტა და შემოტრიალდა.

- მერე, რას მიტოლებს თავს ეს ბოგანო კალაძე?!

რამდენიმე წუთით კვლავ დაისადგურა დუმილმა. გიგილომ მერცხლებით სავსე თავი ნებიერად გადადო სავარძლის საზურგეზე და ხვრინვა ამოუშვა. ხაბეიშვილი ფრთხილად წამოდგა, მაგიდიდან „ზაჟიგალკა“ აიღო, ჯიბეში ჩაასრიალა, ყვავს კაკალი გააგდებინეო, ჩაილაპარაკა და ოთახიდან გაიძურწა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

სიკვდილის კორპუსები

25 წელიწადია სეისმომედეგობაზე არცერთი შენობა არ შემოწმებულა

რამდენიმე დღის წინ ასტროლოგმა მიხეილ ცაგარელმა „იმედის“ ეთერში ძაღლის წელიწადის ბოლო კვირის ასტროლოგიურ პროგნოზი მიმოიხილა და მიწისძვრების ალბათობის გაზრდაზე გაამახვილა ყურადღება: „ამ პერიოდში მოიმატებს მიწისძვრების ალბათობა, რადგან დედამიწის გეომანტიის შეცვლა მიმდინარეობს“ – განაცხადა ასტროლოგმა. სამწუხაროდ, სეისმური ბიძგების გააქტიურებაზე პროგნოზებს მხოლოდ ასტროლოგები კი არა, მეცნიერებიც აკეთებენ, ამიტომ დავინტერესდით რა მდგომარეობაა ქვეყანაში მშენებლობის უსაფრთხოების მიმართულებით და ამ კითხვით საქართველოს რეფორმატორთა კავშირისა და მშენებელთა ლიგის თავმჯდომარეს ანზორ საკანდელიძეს მივმართეთ:

– დავიწყებ იმით, რომ ცნობილი ქართველი გეოფიზიკოსის, აკადემიკოს თამაზ ჭელიძის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადების თანახმად, საქართველოს 9-ბალიანი დამანგრეველი მიწისძვრები ემუქრება. საქმე ის გახლავთ, რომ კავკასიონის ქედზე მთის ქანების გლობალური დაშლა მიმდინარეობს. ამასთან, არაბეთის ფილაქანი სამხრეთიდან ჩრდილოეთის, ევრაზიის ფილაქნის მიმართულებით, წელიწადში 15- სანტიმეტრიანი გადაადგილებით მოძრაობს. კარზეა მომდგარი კატასტროფული მიწისძვრები, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს გარდა, ევრაზიის ფილაქანზე განლაგებული ყველა სახელმწიფო მობილიზებულია. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები მოსალოდნელი მიწისძვრებით გამოწვეული ნგრევისა და მსხვერპლის მინიმიზაციისთვის უზარმაზარი მოცულობის ანტისეისმურ სამუშაოებს ატარებენ. მაგალითად, სომხეთში სეისმოიზოლიატორების ქარხნების მშენებლობა მიმდინარეობს. ასეა რუსეთში, აზერბაიჯანში და ყველგან, ჩვენს გარდა.. იმის ნაცვლად, რომ მოახლოვებული კატასტროფის თავიდან აცილებაზე ვზრუნავდეთ, გამალებულები ვაშენებთ კარკასულ შენობებს, რომლებსაც მსოფლიოში დიდი ხანია „სიკვდილის კორპუსები“ უწოდეს.

– **თითქმის ყველა ინტერვიუში კარკასული შენობებისგან მომდინარე საფრთხეებზე საუბრობთ, ამიტომ იქნებ უფრო დეტალურად აგვიხსნათ, რით განსხვავდება კარკასული შენობები დანარჩენებისგან და რატომ არის საშიში ასეთ კორპუსებში ცხოვრება?**

– სანამ კარკასულ შენობებზე გიამბობთ, გეტყვით, რომ 20 წლის განმავლობაში ვიყავი რკინა-ბეტონის ქარხნის მთავარი დირექტორი და 35 წელი ვკითხულობდი ლექციებს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიის მიმართულებით, ამიტომ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთან არსებული კარკასული შენობები სიცოცხლისთვის სახიფათოა. საქართველოში ამ ტიპის კორპუსების მშენებლობა ბოლო ათწლეულებში დაიწყო. კომუნისტების დროს, ძირითადად იყო ასაწყობი მშენებლობა. რკინა-ბეტონის ქარხნებში მზადდებოდა რკინა-ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები და შემდეგ ხდებოდა მათი მონტაჟი. კარკასულში კი ჯერ რკინა-ბეტონის ჩონჩხს აგებენ და მერე ხდება მისი შევსება. რაც ყველაზე საგანგაშოა, საქართველოს გარდა, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, რომ მშენებლობას იწყებენ და პროექტი არ არის მზად. მშენებლობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ არქიტექტურის ნახაზით, ნახაზიც არაა, ნახატია.. ფაქტობრივად, მშენებლობის პროცესში მიდის პროექტების გაკეთება და ასე ხდება ნებართვების გაცემა. კაი, გავიგეთ, რომ ნებართვების გაცემა უგულავამ გაამარტივა, რომ მეტი ნებართვა გაეცა და მეტი ფული ეკეთებინა, მაგრამ შენ ხომ უნდა შეცვალო ბოლოს და ბოლოს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საცხოვრებელი კორპუსი სეისმომედეგობაზე არ შეამოწმო და ხალხი ისე შეუშვა, არ ვიცი არ ვიცი ამას რა ქვია. 25 წელია სეისმომედეგობაზე არც ერთი შენობა-ნაგებობა არ შემოწმებულა. იმდენს მიაღწიეს მაფიოზმა მშენებლებმა და ინვესტორებმა, რომ სეისმომედეგობის შემოწმება მთლიანად სამშენებლო კომპანიაზეა მინდობილი.

– **ანუ საკუთარ აშენებულს თავად ამოწმებენ?**

– კი ბატონო. 2010 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს საკანონმდებლო აქტი, „სეისმომედეგი მშენებლობა პნ-01–01–09“-ის N5, რომელიც კრძალავს 12 სართულზე მაღალი კარკასული ტიპისკორპუსების აშენებას, მაგრამ 12 კი არა, 50 სართულს ასცდნენ უკვე. ბათუმისთვის მგონი 65 სართულიან სახლს აპროექტებენ.. ისეთი განცდა მაქვს, რომ რაღაცა უბედურებისთვის ამზადებენ ამ ქალაქს და ქვეყანას და უნდა მოვუწოდო ხალხს, რომ გარეთ გამოვიდნენ.. სხვა საშველს ვერ ვხედავ.. ძველ მერსაც მივწერე და ახალსაც, რომ 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული სეისმომედეგობის კანონის თანახმად, თუ შენობა არის რკინა-ბეტონის კარკასული ტიპის, არ შეიძლება, რომ 12 სართულზე მაღალი იყოს, თუმცა წერე და იკითხე გამოვიდა..5–6 თვის წინ მამუკა ბახტაძეს წერილი გავუგზავნე, რომ მერია მთავრობის დადგენილებებს არ ასრულებს და იცით რა ქნეს? ადგნენ და ეს წერილი მერიას გადაუგზავნეს. რა თქმა უნდა, მერიიდან არავითარი პასუხი არ მომსვლია. კორპუსები რომ სეისმომედეგობის კანონის დარღვევით შენდება, ამაზე სამი-ოთხი წლის წინ პირადად მე სამივე ინსტანციის სასამართლო მოვიგე და ასათიანის ქუჩაზე 8კარკასული ტიპის, 32 სართულიანი კორპუსის მშენებლობა შევაჩერე.

ყველა უბედურება 2004 წელს დაიწყო, როცა მშენებლობის სამინისტრო გაუქმდა. იმის შემდეგ არავინ პასუხს არ აგებს არაფერზე. მთელი ქალაქი რომ ამოწყდეს, ვერ გაიგებ, პასუხისმგებელი ვინაა!

– **ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმე აშენებული კორპუსების ნგრევას დაიწყებს და უკვე აშენებულებს რა ეშველებათ? სეისმომედეგობის ამაღლება შესაძლებელია?**

– არაფერი არ ეშველება. მარტო აშენებულები კი არა, თბილისში 200-მდე დაუმთავრებელი კარკასული მშენებლობაა.. ათწლეულებია ასე ყრია ახლა ესენი როგორ უნდა ააშენო ან გაამაგრო, არ ვიცი. თუ არ ვცდები, შენობების გამაგრებისთვის ბიუჯეტიდან 50 მილიონი გამოიყო, რაც წყალში გადაყრილი ფულია, რადგან ეს გამაგრებები რეალურად არაფერს ამაგრებს.. თუ შენობას კონსერვაციას უპირებ, საკონსერვაციო სამუშაოების პროექტიც უნდა გაკეთდეს, რომ შემდეგ არ მოხდეს მისი თვითდანგრევა. ეს მიყრილი და მიტოვებული კარკასები ყველა უნდა შემოწმდეს და დადგინდეს როგორია მათი მზიდუნარიანობა და სეისმომედეგობა. ყველა მხრივ განუკითხაობაა, რომელსაც არ ვიცი რა ეშველება. სეისმომედეგობის გარდა, სტანდარტების და უსაფრთხოების ნორმების დარღვევით ხდება კორპუსებში ბუნებრივი აირის შეყვანა. ათასჯერ ვთქვი, რომ გაზის შეყვანა პლასტმასის მილებით არ შეიძლება. ასეთი მილები არის მხოლოდ ცხელი და ცივი წყლისთვის განკუთვნილი და არა გაზმომარაგებისთვის. დროთა განმავლობაში თუ გაზის წნევამ მოიმატა, მილები იბერება და შეიძლება გაზმა გაჟონოს. გაზი უნდა გადიოდეს ლითონის მილებში. პლასტმასის მილები იაფი უჯდებათ და ამიტომ იყენებენ და ამას არავინ აკონტროლებს. ღმერთი გვიფარავს, რომ ჯერჯერობით მასშტაბური ტრაგედიები არ ხდება, თუმცა მხოლოდ ღმერთის იმედად ცხოვრება როდემდე გაგვიმართლებს, არ ვიცი..

28 იანვარს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მერიამ გაზის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე რეაგირების ზომები გაამკაცრა. გარდა ამისა, დაწყებულია მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზეც. თბილისის ვიცე-მერის, ირაკლი ხმალაძის განცხადებით, იცვლება შენობის ექსპლუატაციაში მიღების წესიც:

„ვმსჯელობთ იმაზე, რომ დავაბრუნოთ რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ექსპლუატაციაში მიღებამდე შესახლების შეზღუდვას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და ზოგადად, ექსპლუატაციაში მიღებაც მიებას გაზისა და ელექტროსისტემის გამართულობას, ანუ კორპუსი არ ჩაიბაროს მერიამ, სანამ შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიები არ დაადასტურებენ, რომ იქ სათანადოდ არის უზრუნველყოფილი ქსელის გაყვანა და მისი მონტაჟი“, – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

დაიწყებს თუ არა მერია საცხოვრებელი კორპუსების სეისმომედეგობაზე შემოწმებას, დრო გვაჩვენებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

„სამართლიანობის აღდგენა ქართულ მწერლობასაც უნდა შეეხოს“

გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი ბაღათერ არაბული:

— ბატონო ბაღათერ, როგორია მწერლის მიერ დანახული დღევანდელობა. რას გვეტყვით ჩვენს დღევანდელ ვითარებაზე?

— არჩევნებმა კარგად გამოაჩინა ის ნაკლოვანებები, რაც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა.

ბიძინა ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხალხს დაჰპირდა მდგომარეობის გაუმჯობესებას. მას დანაპირების უგულებელყოფა არ ჩვევია და დიდი იმედი მაქვს, გაწმენდს სახელმწიფო სტრუქტურებს პორტირებულებისგან და დალაგდება ყველაფერი.

მოსამართლეების უვადო დანიშვნასთან დაკავშირებითაც თანდათან იკვეთება მისი პოზიცია. კარგა ხანს ტრიალებდა მოსაზრება, თითქოს იმ 10 მოსამართლის უვადოდ დანიშვნის მომხრე ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ამ დღეებში გაიმართა პარტია „ქართული ოცნების“ შეკრება და ამ შეკრებაზე დასმული საკითხები, ვფიქრობ, რომ მიანიშნებდა მოსამართლეთა სიაში ცვლილებების აუცილებლობას. სამართლიანობა აღსადგენია და ვიმედოვნებ, ეს მოხდება 2020 წლამდე.

— თქვენ მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ბრძანდებით. რა ხდება ქართულ მწერლობაში, ახალი და კარგი ამბები არის?

— მოგეხსენებათ, საკაშვილმა მწერლები გამოგვყარა იმ ისტორიული შენობიდან, სარაჯიშვილმა და ხოშტარიამ რომ გვისახსოვრა 1917 წელს. 100 წელი იმყოფებოდა მწერალთა კავშირი იმ შენობაში, რომელიც დღეს ჩვენი აღარ არის. საკაშვილმა შური იძია ქართველ მწერლებზე, რადგან ჩვენ პირდაპირ ვაკრიტიკებდით მის ყოველ არასერიოზულ გამოსვლას, მის ავანტიურისტულ ომს და ა. შ. ჩვენი მოსაზრებები იბეჭდებოდა მაშინდელ პრესაში, რომელიც მერე ასევე გახდა რეპრესიების მსხვერპლი და მათ შორის თქვენი გაზეთიცაა.

დღეს, როდესაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან მწერალთა დელეგაციები, მაგალითად, უკრაინიდან, ისრაელიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა ქვეყნებიდან, ქუჩაში ვხვდებით მათ. ან ვქირაობთ დარბაზებს ჩვენი მწირი შემოსავლებიდან.

მწერალთა კავშირის შენობა საკაშვილმა მთლიანად გადასცა კულტურის სამინისტროს და ჩვენ ერთი პატარა კუნჭული არ გვაქვს, რომ შევიკრიბოთ.

არადა, მწერალთა კავშირი ეს არის პროფესიული გაერთიანება, თანამოაზრეთა ერთობა, რითაც მწერალთა კავშირის წევრს არავითარი პრივილეგია არ ეძლევა. ისევე როგორც, მაგალითად, ჟურნალისტთა კავშირში გაერთიანებულ ათასობით ჟურნალისტს.

დღეს მწერალთა კავშირის წევრს უბრალოდ წიგნაკი აქვს, თორემ ჩვენ ვერაფერში ვეხმარებით. თუ საჭირო გახდა, მწერალთა კავშირის წევრებს წიგნის პრეზენტაციის ორგანიზებაში ან სოციალური პრობლემების მოგვარებაში ვეხმარებით, სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში, შეძლებისდაგვარად.

მაგალითად, აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, უკრაინაში და ბევრ ქვეყანაში, მწერალთა კავშირები კვლავ არსებობს, შენობები დაუმტკიცდათ, ხელფასები ეძლევათ. ჩემი მეგობრები იყვნენ აზერბაიჯანიდან ჩამოსული და მითხრეს, რომ აზერბაიჯანში მწერლებისთვის არსებობს 1000-დოლარიანი სტიპენდია, ნაწილისთვის 500-დოლარიანი და დამწყებთათვის 300-დოლარიანი. მწერალთა კავშირის სამ ჟურნალს აფინანსებს აზერბაიჯანის მთავრობა.

— რაც ხდება მწერლობის მიმართ საქართველოში, ეს ყველაფერი მიზანმიმართულია?

— კულტურის ნგრევა 2003 წლიდან დაიწყო. მოგეხსენებათ, ნაციონალები ყველაფერს ღირებულს — მეცნიერებათა აკადემიას, უნივერსიტეტს, მწერალთა კავშირს, ყველაფერს, რაც ეროვნული ცნობიერების ამაღლებასთან იყო დაკავშირებული, დაუპირისპირდნენ. ყველა ეს ინსტიტუცია მოშალეს, რადგან მათ მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგებოდა, ანუ დანერგეს ე.წ. გლობალური მიდგომები — არ გვჭირდება ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, მწერლობა და ა. შ. საუბედუროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ამ კუთხით ინერციით გააგრძელა მუშაობა.

ჩვენ მივმართეთ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომ მწერალთა სახლში ორი-სამი ოთახი მაინც გამოეყოთ ჩვენთვის, მაგრამ პრემიერმა განცხადება გადაუგზავნა კულტურის მინისტრს, კულტურის მინისტრმა მწერალთა სახლის მენეჯერს გაუგზავნა შეკითხვა: მივცეთ თუ არ მივცეთ მწერლებს მათ ყოფილ სახლში ორი ოთახიო. მენეჯერი პასუხობს: მწერლებმა წერონ საკუთარ სახლებში, მათ აქ ოთახები არ სჭირდებათო.

ასეთი მდგომარეობაა და მე ვფიქრობ, სამართლიანობის აღდგენა ქართულ მწერლობასაც უნდა შეეხოს.

ჩემი აზრით, ჩვენი, ქართველი მწერლების მოვალეობა იყო და ჩვენ ვთქვით კიდევაც ჩვენი სიტყვა 2011 წელს, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი წერილი რომ გამოვაქვეყნეთ თქვენს გაზეთში. ჭაბუა ამირეჯიბიდან დაწყებული, ყველა ავტორიტეტული მწერალი აწერდა ხელს ამ მიმართვას ქართველი ხალხისადმი. შემდეგ გადაიბეჭდა ის „ასავალ-დასავალში“, სხვა გაზეთებში და გაჟღერდა მედიასაშუალებებში. ამ მიმართვამ მაშინ დიდი რეზონანსი გამოიწვია. ჩვენ არავითარი მიზანი არ გვქონია, გარდა ქვეყნის გადარჩენისა იმ ბარბაროსული რეჟიმისგან, მაგრამ ქართველი მწერლების ასე გაწირვასაც არ მოველოდით. ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები დღეს უპატრონოდ, ბედის ანაბარად არიან მოტოვებული. არადა, ქართული მწერლობის, ქართული კულტურის, სულიერების გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მშვენივრად იცის ქართული მწერლობის ფასი, გონიერი ადამიანია და მიმაჩნია, მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ქართული მწერლობისა და საზოგადოებისთვის. მე, როგორც ერთ მწერალს, მჯერა მისი.

— როცა ქვემეხები გუგუნებენ, მწერლობა დუმსო. დღეს ქვემეხები არ გუგუნებენ, მაგრამ ლიტერატურულად ღირებული, ჩემი აზრით, არაფერი იქმნება.

— უნდა გითხრათ, რომ იქმნება ნამდვილი და ღირებული ლიტერატურა, ოღონდ ყურადღება ნაკლებია სახელმწიფოსგან და შესაბამისად, ვერც საზოგადოება იგებს ამის შესახებ.

შარშან პრეზიდენტმა აღადგინა რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას სახელობის ლიტერატურული პრემიები. მაგრამ ეს იყო პირდაპირ ცინიზმი. მარგველაშვილმა შექმნა კომისია, რომელშიც ერთი ქართველი მწერალი არ შეუყვანია. კომისიაში იყვნენ ხელოვნებათმცოდნეები, პრემიებზე წარდგენილი გახლდნენ ასევე საშუალო თაობის ქართველი მწერლები, რომლებზეც კომისიის წევრებმა ბრძანეს, ასეთ მწერლებს ჩვენ არც ვიცნობთო. როგორ ეცოდინებოდათ — არც თავის დროზე წაუკითხავთ და ახლა კომისიაზე წარდგენილი ეს წიგნები, უბრალოდ, გადანაშალიც კი არ იყო.

კომისიის წევრებს, ალბათ, 2000–3000 ლარი ჰქონდათ ხელფასი და წიგნის კითხვა რაღაში აინტერესებდათ?!

ფრანკფურტში ხომ გახსოვთ ვინ წაიყვანეს? უმეტესობა ლიბერასტული აზროვნების, ვითომ მწერლები იყვნენ. მძიმე დღეშია მწელობა და საზოგადოება.

— გასაგებია, რომ სახელმწიფო არ უდგას გვერდით მწერლობას. თქვენ მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ბრძანდებით, თქვენ რა შეგიძლიათ, რით ეხმარებით, მაგალითად, დამწყებ ახალგაზრდა მწერლებს?

— მე ამჟამად ჟურნალ „ცისკარშიც“ ვმუშაობ რედაქტორად. ჩვენთან მოდიან ახალგაზრდა მწერლები. მათ ვაძლევთ რეკომენდაციებს ჟურნალ-გაზეთებთან, ვატყობინებთ კულტურის სამინისტროს, რომ მიაქციონ ყურადღება მომავალ ხელოვანს, დაეხმარონ წიგნის გამოცემაში და ა. შ.

თუმცა ჩვენ შეიძლება დღეს დავბეჭდოთ, მაგალითად, ჟურნალ „ცისკარში“, ვინმე ნიჭიერი შემოქმედი, მაგრამ მის შესახებ ცოტა თუ გაიგებს. ადრე „ცისკარი“ 70–80-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა, „ლიტერატურული საქართველო“ 100-ათასს აჭარბებდა. ახლა არც გაზეთები იბეჭდება ამხელა ტირაჟებით, არც ლიტერატურული ჟურნალები და არც რადიო-ტელევიზიებში გვიწვევენ მწერლებს სასაუბროდ. სხვათა შორის, არც გაზეთებში იბეჭდებიან მწერლები. მე, მაგალითად, „საერთო გაზეთის“ და „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე თუ მოვხვდები ხოლმე ხანდახან, თორემ სხვა გაზეთებს ჯვარი სწერიათ. თქვენი გაზეთის რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა შესანიშნავი პოეტი და პუბლიცისტია, ასევე „ასავალ-დასავალის“ რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი კარგი პოეტია და როგორც ჩანს, ამის დამსახურებაა ამ გაზეთებში მწერლების გამოჩენა.

უდიდეს მიღწევად მიმაჩნია, ჟურნალ „ცისკრისთვის“, რომელიც უკვე 100 წლისაა, არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის მინიჭება. კულტურის სამინისტრომ აღიარა, რომ ეს არის ქართული კულტურის ძეგლი, მაგრამ სახელმწიფომ მისი გამოცემა შარშან არ დააფინანსა.

წელს მაინც მაქვს იმედი, მით უფრო, რომ პარლამენტარი, კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, ქალბატონი **მარიამ ჯაში**, რომელსაც უშუალოდ ეხება ასეთი საკითხები, დაგვპირდა და იმედია, მოგვაქცევს ყურადღებას და „ცისკარი“ კვლავ გააგრძელებს არსებობას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ᰔᲘᲢᲚᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲨᲢᲚᲔᲠᲐᲛᲓᲔ, ᲐᲜᲣ ᲒᲔᲑᲔᲚᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘ ᲒᲔᲑᲔᲚᲡᲔᲑᲘ

(ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ)

საქართველოში საინფორმაციო ომია. ეს დაიწყო 2012 წელს, მას შემდეგ, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები წააგო. ალბათ გახსოვთ, იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში შეკრიბა ავაზაკნი ამა ქვეყნისანი და განაცხადა, ჩვენ ისლა დაგვრჩენია, წავიდეთ ოპოზიციაშიო. მაშინ ბევრმა იფიქრა, ესენი ცოტა ხანს იშავდღევებენ და თანდათანობით გადაშენდებიანო, მაგრამ ასე არ მოხდა – სააკაშვილის ბანდამ ყველა აკრძალული მეთოდი გამოიყენა, რათა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ჯერ თავის მართლების რეჟიმში ჩაეყენებინა, შემდეგ დაებნია, ბოლოს კი უნიათოდ გამოეცხადებინა. რაც მთავარია, საზოგადოებაში ჩათესა დამპალი თესლი უმადურობისა და შედეგად მივიღეთ სავალალო მდგომარეობა – დღეს თითქმის მკრეხელობად ითვლება ბიძინა ივანიშვილის ქება კი არა, უბრალოდ კარგად ხსენებაც კი. რასაკვირველია, ამავე საზოგადოებაში დარჩა მცირე, ჯანსაღი ნაწილი, რომელსაც მადლიერების გრძნობა ჯერაც არ დაუკარგავს, მაგრამ ამ ნაწილშიც უკვე ერიდებიან ივანიშვილზე ხმამაღლა ლაპარაკს.

რა მეთოდებით მიიყვანეს ქართული საზოგადოება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მასთან გათანაბრებულმა პირებმა ამ მდგომარეობამდე, როგორ მოაქციეს საინფორმაციო ტერორის ქვეშ და რა ხერხებით გაუჩინეს დამაგრეველი ნიჰილიზმი? დაუკვირდით, კოლექტიურ საკაშვილში, რომელიც 2012 წლიდან დაუპირისპირდა ახალ ხელისუფლებას, ერთი შეხედვით, თავმოყრილია დემოკრატია, თავისუფლება, ლიბერალიზმი, მაგრამ საერთო ჯამში სჭარბობს ფაშიზმი, ბოლშევიზმი, სიძულვილი და არნახული აგრესია. კოლექტიური საკაშვილის გავლენის ქვეშ იმყოფება ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი, ვითომ დემოკრატიის სახელით რომ მოქმედებენ და სინამდვილეში არიან „ნაცმოძრაობის“ სატელიტები გარკვეული ფინანსური უზრუნველყოფის სანაცვლოდ.

თუ საკაშვილს ჩავთვლით (და უნდა ჩავთვალოთ) მცირემასშტაბიან ადოლფ ჰიტლერად, ისიც უნდა შევამჩნიოთ, რომ მას ჰყავს ასევე მცირემასშტაბიანი იოზეფ გებელსი, რომლის ხელწერა ერთი-ერთზე ემთხვევა ნიკოლოზ გვარამიას ხელწერას, ოღონდ ერთი განსხვავებით – ამას, ამ პატარა გებელსს არ გააჩნია სოლიდურობა და მისი შინაგანი სამყარო ძალიან ყარს. ალბათ, ეს იმის გამოცაა, რომ გვარამიას არ აქვს ძალაუფლება და სახელისუფლებო გავლენა. როცა ჰქონდა, კი „მოაყოლა“ ბადრი პატარკაციშვილის საქმე პროკურორულად.

რა ხელწერა ჰქონდა ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის რაიხმინისტრს (1933–1945 წლები), რომლის იდეოლოგიაც ასე ზედმიწევნით აქვს დამუშავებული კოლექტიურ საკაშვილს? გებელსი ამბობდა: „მომეცით მასობრივი ინფორმაციის წყაროები და ნებისმიერ ერს ღორების კოლტად ვაქცევ“, „გაუყალბე ადამიანებს ისტორია და ერთი თაობის შემდეგ მათგან მივიღებთ ბრბოს, ხოლო კიდევ ერთი თაობის შემდეგ მათი მანიპულირება ნახირის მართვაზე მარტივი გახდება“.

ვიმეორებ, მართალია, არც მიხეილ სააკაშვილს აქვს ისეთი მასშტაბი, როგორიც ჰქონდა ადოლფ ჰიტლერს და არც ნიკა გვარამიას აქვს ისეთი მასშტაბი, როგორიც ჰქონდა იოზეფ გებელსს, მაგრამ რაც არ უნდა მცირე ერთან გვქონდეს საქმე, ყოველთვის მოიძებნება ერთი მუჭა ხროვა, რომელიც გაიზიარებს ფაშისტურ იდეებს და ყოველთვის მოიძებნება საზოგადოების ნაწილი, რომელიც გაუცნობიერებლად აჰყვება ავანტიურისტებს. მით უმეტეს, თუ ავანტიურისტებს გააჩნიათ უკანონოდ მიტაცებული საინფორმაციო საშუალება. მეტიც, თუ ქვეყანაში გამოჩნდება კიდევ რამდენიმე მედიასაშუალება, რომელიც (გარკვეული ფინანსური დაინტერესების გამო) ასევე აჰყვება ჟურნალისტიკას ამოფარებულთა პროპაგანდას.

მაგალითად, გებელსს ჰქონდა ე.წ. „ათი მცნება“. მე-7 მცნებაში ვკითხულობთ: „დაარტყით ყოველ ჯერზე ნაძირლებს. ის, ვინც შელახავს თქვენს უფლებებს, გეძლევათ სრული უფლება – გაანადგუროთ იგი“. ვინ ვის უფლებას ლახავდა ფაშისტური გერმანიის სახით, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა მთელი მსოფლიო და როგორ დამთავრდა ყველაფერი – ვიცით! იგივე იგივე გაიმეორა მინი-გებელსმა გვარამიამ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში. მისი განცხადებით, ყველა, ვინც სალომე ზურაბიშვილს ან აფინანსებდა, ან კამპანიაში სხვაგვარად ეხმარებოდა ან მხარს უჭერდა, უკიდურესად უნდა შევავიწროვოთ:

„ეს არ არის არც გამოხატვის თავისუფლების და არც პოლიტიკური გემოვნების საკითხი. ეს არის ქვეყნის ღია და დეკლარირებული მოღალატის დახმარება. დახმარება ქვეყნის ღალატში. ყველა ეს ადამიანი უნდა დავიმახსოვროთ და გვახსოვდეს, რომ მოღალატის გვერდში დამდგომი ხალხია და მათგან ყველაფერს უნდა ელოდოს ჩვენი სამშობლო. უნდა დავიმახსოვროთ და გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, იქნება ეს ბიზნესი, კულტურა თუ პოლიტიკა. ქვეყნის მოღალატე და მისი მოკავშირეები საჩვენებლად უნდა დაისაჯონ! მე, პირადად, ვაპირებ ამას მივუძღვნა საკუთარი თავი უახლოესი რამდენიმე წელი. ჯერ არჩევნების წაგებაში ძალიან დავეხმარები მოღალატე სალომეს (აუცილებლად წააგებს) და მერე მივუბრუნდები მის დამხმარეებს“.

როგორც ჩანს, გებელსის მოწაფეს ურჩიეს, ასე პირდაპირ არ გამოვა, ეს დემოკრატიის შელახვა იქნება, გამოდი და გააკეთე განმარტება, რომ ამ საქმეში „რუსთავი 2“-ს არ გამოიყენებო. გამოვიდა, დაგვდო პატივი, ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა, სადაც არ უნდა ვიმუშავო, სალომე აურაბიშვილის მომხრეებს ყოველთვის შევავიწროვებ, მაღაზიაში გამყიდველი ვიქნები – არაფერს მივყიდი, ბანკში ვიქნები – კრედიტს არ მივცემ, ცხოვრებას გავურთულებო. დაუკვირდით, ნიკა გვარამიას როგორ აქვს გებელსის მეთოდი ათვისებული – ყველა განცხადებაში უნდა ფიგურირებდეს სიტყვები: „ჩემი სამშობლო“, „ჩვენი ქვეყანა“, „ჩემი ხალხი“. ყველა მავნე გამონათქვამი შენიღბული უნდა იყოს პატრიოტიზმით და ბრალს სდებდეს ნებისმიერს ღალატში, ვინც მისთვის მიუღებელია. გებელსი ამბობდა: „ვინც კი გაავრცელებს ახალ ამბებს, რომლებიც გერმანელი ხალხის საბრძოლო სულისკვეთებას ზიანს აყენებს, ციხეში იქნება ჩასმული და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სიკვდილით იქნება დასჯილი“.

ნახეთ, როგორ წვეთი წყალივით ჰგავს ამ ორი არამზადის განცხადება ერთმანეთს: ვინც სალომე ზურაბიშვილს ემხრობა, გაძევებული იქნება ყველა სფეროდან. ვინც გერმანელი ხალხის საბრძოლო სულისკვეთებას ზიანს აყენებს, სიკვდილით იქნება დასჯილი. გვარამიას უფლება რომ ჰქონდეს, „რუსთავი 2“-საც გამოიყენებდა და გილიოტინასაც აღმართავდა რუსთაველის გამზირზე. პირველს დღესაც იყენებს საზოგადოების გარკვეული ნაწილის ტვინის გამოსარეცხად და ყველანაირ ავანტიურაზე მიდის, რათა სახელმწიფო ჩამოშალოს. ვინაიდან, ფართო მასშტაბით ქვეყნის დაქცევა, ხელისუფლების დამხობა არ გამოსდის, გამწარებული ხან წითელ წიწაკას ჭამს, ხან კიდევ დასჯით იმუქრება.

როდესაც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა თუ მომხრეებმა ნიკა გვარამიას მუქარა ფაშისტურ იდეოლოგიად შეაფასეს, მისი მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციების ე.წ. ლიდერები გაიყურსნენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც კატების ჩხავილზეც კი ერთ ამბავს ტეხენ, არიქა, ქვეყანაში არნახული დისკრიმინაცია მძვინვარებსო. ქალბატონ ეკა გიგაურს („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“) ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რას ფიქრობთ გვარამიას გამონათქვამზეო? დაიბნა, უხერხულში ჩავარდა, უი, ეგ მისი პირადი აზრიაო. სულხან სალაძესაც („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“) ჰკითხეს იგივე – ესეც დაიბნა, მიედ-მოედო, დაყრუვდა, არ ვიცი, არ მომისმენიაო. არადა, ეს ხალხი ლამის სამეცნიერო კონფერენციებს მართავს თემაზე, თუ რატომ უწოდეს გვარამიას ფაშისტი. ამ დროს მისი განცხადება (ვითომ) არ მოუსმენიათ. რამდენნაირი სტანდარტით ცხოვრობენ ეს ადამიანები, უკვე გაუგებარია!

გებელსის შემდეგი მეთოდი: ყველა განცხადებაში უნდა იყოს სიტყვა „გამარჯვება“ – „ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ“, „ჩვენი მტერი უკვე დამარცხებულია“, „ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ“, „ეს გადაწყვეტილია“. ძნელი შესამჩნევი არ გახლავთ, რომ მხოლოდ გვარამიას კი არა, მსგავსი გამონათქვამებით „ნაციონალებიც“ ხელმძღვანელობენ, ანუ ისინი მუდმივად ამტკიცებენ, რომ აუცილებლად გაიმარჯვებენ, მიხეილ სააკაშვილი დაბრუნდება საქართველოში, ის უკვე გზაშია და ასე შემდეგ. ასეთთათვის არ არსებობს იმედგაცრუება, ჩაფლავების შემთხვევაში უცებ პოულობენ გამოსავალს და იწყებენ შექმნილი სიტუაციის თავიანთებურად „გაპრავებას“. როდესაც ფაშისტური გერმანია, ანუ ადოლფ ჰიტლერის ხროვა ომს აგებდა, გებელსი მაშინაც კი გამოდიოდა ლოზუნგით: „გჯეროდეთ მომავლის და თქვენ იქნებით გამარჯვებული“!

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲒᲔᲚᲐ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
555 48 48 61

თეიმურაზ ქარჩავა: მზად ვარ ჩამოვიდე საქართველოში და ბოლომდე ვამხილო კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის დანაშაულებრივი ტრიო, რომლის მაქინაციების და აფიორის შედეგად სატენდერო კომისიამ უარი უთხრა 70 მილიარდი დოლარის ბრუნვის მქონე „პაუერ ჩაინას“ და არჩევანი სრულიად უსახო და უცნობ „კონტიზე“ გააკეთა

ვესაუბრებით, კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** პრეზიდენტს, ბატონ **თეიმურაზ ქარჩავას**:

– 2016 წლის ივნისში დასაწყები „ანაკლია პორტის“ მშენებლობა დღემდე არ დაძრულა. არადა, ეს პუნქტი, ტენდერის ერთერთი უმკაცრესი მოთხოვნა იყო!

– მკითხველს უნდა შევახსენო: კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** და მასში შემავალი, ჩინური კომპანიის **„ფაუერჩაინას“** ტენდერის ბოლო ეტაპზე ჩამოშორება, დიდწილად, საქართველოს მთავრობის მიერ (სხვა

ტექნიკურ საკითხებთან ერთად, რომლებიც სახელმწიფოს უნდა მოეგვარებინა), სწორედ, პორტის მშენებლობის, 2016 წლის პირველ ივნისს დაწყების, დაჟინებულმა მოთხოვნამ გამოიწვია!

ტენდერის ფინიშზე დარჩენილი **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფისგან“** განსხვავებით, ჩვენი კონსორციუმი რამდენიმე წელიწადი ემზადებოდა და ამუშავებდა **„ანაკლია პორტის“** მშენებლობის კონცეფციას. დეტალებში იყო გათვლილი ყველა ტექნიკური საკითხი (არაფერს ვამბობ პროექტის დაფინანსებაზე, რადგან, ამ საკითხის საეჭვოობის შემთხვევაში არასერიოზულია „ათასწლეულის პროექტზე“ საუბარი), ბუნებრივია, მათი შესრულების ვადებთან ერთად. ამიტომაც მივმართეთ საქართველოს მთავრობას და ასამდე შეკითხვა გავუგზავნეთ, რომელთა შესწავლა და გადაწყვეტა აუცილებლად მიგვაჩნდა, სანამ სახელმწიფოსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის ხელშეკრულება დაიდებოდა.

მახსენდება, ჩვენი შეკითხვების სიმრავლის გამო, მთავრობიდან ასე გვიპასუხეს – **„რა შეკითხვები აგიტყდათ, თქვენი კონკურენტი ხმას არ იღებს, უპრეტენზიოდ თანხმდება სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ტენდერის პირობებზეო?“**

– ის, რომ, „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“ ანაკლიაში პორტის ამშენებლები არ იყვნენ, ჩემთვის,

მათი ტენდერში გამოჩენისთანავე იყო ცნობილი!

როცა, ასეთი უპასუხისმგებლო მონაწილე გამოაცხადეს ტენდერში გამარჯვებულად (სინამდვილეში „ანაკლია პორტის“ ტენდერს გამარჯვებული არ ჰყოლია, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენე, ჩვენი კონსორციუმი, ქვეყნის მთავრობისგან სატენდერო პირობებზე უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხების მოლოდინში თამაშგარედ დატოვეს), ჩემი საქართველოში დარჩენა, უამრავ კითხვას გააჩენდა და ისედაც გართულებულ მდგომარეობას კიდევ უფრო გაამწვავებდა...

მომიყვნენ, – **მავანმა ისიც კი სცადა, ჩემთვის დაებრალებინა საქართველოს მთავრობის და მისი რჩეულის „ხაზარაძე და კონტი ჯგუფის“ წარუმატებელი, ფულის სამათხოვრო ვოიაჟი დედამიწის გარშემო!**

როცა, ისინი, ჩემი კონსორციუმის წევრებს მიადგნენ ფულის სამათხოვროდ, მაშინ მივხვდი, რა დონის ავანტიურისტებთან გვქონდა საქმე მე და საქართველოს მოსახლეობას!

განაწყენებულს არ დამიტოვებია საქართველო – **გულდაწყვეტილი კი წამოვედი, იმის გამო, რომ, ამ ჩინოვნიკებს, სახელმწიფო სამსახური პირად ბიზნესად აქვთ ქცეული!**

– ყურადღება მიაქციეთ, რა მოთხოვნებს უყენებდა ქვეყნის

მთავრობა ტენდერში გამარჯვებულს და როგორ შესრულდა იგი:

„ანაკლია პორტის“ ტენდერის პირობებით, გამარჯვებულს „ხელმოწერის თარიღიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, გამარჯვებულმა ეკონომიკის სამინისტროს მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით უნდა გადაიხადოს აუნაზღაურებადი ხელმოწერის ბონუსი 3.000.000 (სამი მილიონი დოლარის) აშშ დოლარის ოდენობით.“

ამის გარდა ტენდერში გამარჯვებულს მზადყოფნაში უნდა ჰქონოდა – **„წინასამშენებლო გარანტია ერთი წლის ვადით 20 მილიონის ოდენობით. პერფორმანს გარანტია 20 მილიონის ოდენობით ყოველი გაფართოების ფაზისათვის. დამატებითი პერფორმანს გარანტია 40 მილიონის ოდენობით, რომელიც მთელ საინვესტიციო პერიოდზე ვრცელდება.“**



ტენდერში „გამარჯვებულ“ „კონტი-ჯგუფს“, იგივე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, არცერთი ეს პირობა არ ჰქონდა შესრულებული, ისე გამოაცხადეს გამარჯვებულად.

ვიდრე „ანაკლია პორტის“ მშენებლობის ახალ შესაძლებლობაზე ჩამოვაგდებდეთ სიტყვას, უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია, სადაც მიუკერძოებელი უცხოელი აუდიტი ჩაერთვება. დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი, როგორ მოხდა უფულო კონსორციუმის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადება, რა გაკეთდა 2016 წლის 5 თებერვლიდან დღემდე, ვისი და რა ოდენობის თანხები დაიხარჯა ანაკლიაში ჩატარებულ სამუშაოებზე, მოსახლეობის გასახლებისთვის გადახდილი კომპენსაციის ჩათვლით!

ხომ არ ავიწყდება მთავრობას, სააკაშვილის რეჟიმის მიერ, ჩემი კომპანიისთვის უკანონოდ ჩამორთმეული პორტის ასაშენებელი მიწების საკითხი, დღემდე სასამართლო პროცესებს რომ ელოდება?

აქამდე ვიმედოვნებდი საქმე დაიძვრებოდა, მაგრამ, დღეს, როცა ყველაფერი გამოაშკარავდა და ცხადია ესენი ანაკლიაში პორტის ამშენებლები არ არიან, მივმართავ პროკურატურას და სასამართლოს დაუყოვნებლივ განიხილონ ჩემი კომპანიისთვის უკანონოდ ჩამორთმეული 2100 ჰექტარი მიწის ფართობის საკითხი!

საქმე მზად არის როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო სასამართლოებზე გასატანად.

უცხო არ უნდა იყოს, რასაც ახლა ვიტყვი – **ამერიკელი „კონტი“ ანაკლიის მიდამოებში სამუშაოს (შეკვეთის) საძებნელად გამოჩნდა რამდენიმე წლის წინ, როცა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე გაჩაღდა საუბარი. გასაოცარია როგორ გახდა იგი მეგაპროექტის ინვესტორი?!**

დავით ქობალია
598 708 600

P.S როგორც ნახეთ, **„შესანიშნავმა სამეულმა“ კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის შემადგენლობით** სულ ფეხებზე დაიკიდეს „ფაუერჩაინა“ თავისი 70-მილიარდიანი ბრუნვით და ისეთი ხელოვნური ბარიკადები აღუმართეს, ისეთი აბსურდული მოთხოვნები წაუყენეს, ისეთი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აბლაბუდები დაუხლართეს, „ფაუერჩაინა“ მიხვდა, რომ ამათთან საქმის დაჭერა არ ღირდა.

როგორც ამბობენ, სწორედ დიმიტრი ქუმსიშვილი იყო ის კაცი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილი შეცდომაში შეიყვანა და დაარწმუნა, „ფაუერჩაინა“ თვითონ ამბობს უარს პროექტის განხორციელებაზე და საკუთარი ნებით ტოვებს ასპარეზსო.

შედეგი: **ქვეყანას ხელთ შერჩა მოპარტახებული ანაკლიის სანაპირო და პორტის აშენების გაურკვეველი, ბუნდოვანი, პესიმისტური პერსპექტივა.**

ტენდერი რომ მიკერძოებულად, კანონის სრული დარღვევით, სატენდერო პირობების უგულებელყოფით, ჩატარდა, ამის გამორკვევა და დამტკიცება ადვილზე ადვილი საქმეა, თუ ხელისუფლება მოინდომებს და იმ დოკუმენტებს გადაავლებს თვალს, რომლებიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის სამწუხარო და გამაოგნებელ ისტორიას ასახავს.

კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ამ დოკუმენტების შესწავლა, ალბათ, შეუძლებელი იყო, რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ კვირიკაშვილი თვითონ მონაწილეობდა და თვითონ ლობირებდა ანაკლიის პორტის ტენდერის გაყალბებასა და ფალსიფიკაციაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი მთავრობა ობიექტურად შეისწავლის ანაკლიის პორტთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და ამ საუკუნის აფიორაში მონაწილე ყველა პირს სათანადოდ მიუზღავს.

კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი, ხაზარაძე – ქართული ეკონომიკის ბერმუდის სამკუთხედი იყო, სადაც ნელ-ნელა იძირებოდა და უჩინარდებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა.

მადლობა ღმერთს, ეს სამკუთხედი დაიშალა, მაგრამ სანამ ძირფესვიანად არ აღმოიფხვრება და არ ამოიძირკვება ის შხამიანი ფესვები, რაც მათ ქართული ეკონომიკის წიაღში ასე ღრმად ჩაუშვეს, მანამდე ეკონომიკის წინსვლა უკიდურესად შეფერხდება.

დ.ქ.

რატომ დაუდგეს ახალქალაქში ძეგლი ყარაბაღის ომის გმირად გამოცხადებულ მიქაელ ავაქიანს?

საქართველო მორიგ დიპლომატიურ სკანდალში გაეხვა, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ საპროტესტო ნოტა გამოგვიგზავნა. მიზეზი ახალქალაქის რაიონის სომხებით დასახლებულ სოფელ ბუღაშენში, ვინმე მიხეილ ავაქიანის ძეგლის გახსნა გახლავთ, რომელიც აზერბაიჯანული მხარის განცხადებით, აზერბაიჯანის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში და მათი კუთვნილი ტერიტორიების ოკუპაციაში მონაწილეობდა. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, მომხდარი საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი სტრატეგიული ურთიერთობების სულისკვეთებას არ შეესაბამება. მართლაც საინტერესოა, საქართველოში რატომ უდგამენ ძეგლს ყარაბაღის ომის გმირად გამოცხადებულ ავაქიანს, რომელიც თურმე სომხეთის ერთიანობისთვის იბრძოდა? ამ ძეგლის გახსნას, არც ქართული საზოგადოება შეხვედრია აღფრთოვანებით, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ რომელ ქართველს დაუდგეს ძეგლი სომხეთში, ამ ყველაფერს უფრო სხვა სარჩული და შორს მიმავალი მიზნები აქვს, ვიდრე ვინმესთვის პატივის მიგებააო.

სხვათა შორის, ამ თემაზე რუსულ მედიასივრცეში უფრო მკაფიოდ და თანაც არცთუ იშვიათად საუბრობენ პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები თუ ჟურნალისტები. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, გარდა იმისა, რომ აზერბაიჯანი სერიოზულად გაგვინაწყენდა, მუდმივად ჩასაფრებულის პოზიციაში მყოფ ნაცებსაც მიზეზი მიეცათ ხელისუფლება გაეკრიტიკებინათ. ამ შანსს ხე-

ლიდან როგორ გაუშვებდნენ „კაცთმოყვარე“ ნაცები, ასპარეზზე თანაპარტიელი პარლამენტარი, ეთნიკური აზერბაიჯანელი აზერ სულეიმანოვი გამოიყვანეს, რომელიც აცხადებს, რომ ყარაბაღის მშვიდობიანი აზერბაიჯანული მოსახლეობის მასობრივი მკვლელის და ეთნოწმენდის მონაწილე ავაქიანის ძეგლის ჯავახეთში გახსნა, საქართველოს ხელისუფლების სინდისზეა და მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება. სულეიმანოვი ხელისუფლებისგან ბოდიშის მოხდას, ხსენებული ძეგლის დემონტაჟს. ყველა იმ ადამიანის მკაცრად დასჯას ითხოვს, ვინც ეს უკანონო საქციელი ჩაიდინა.

რაც შეეხება რუსეთის მედიასივრცეში გაკეთებულ შეფასებებს. გასულ წელს, სირიის ხელისუფლების მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა **მაქსიმ შევჩენკომ** ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა და რატომ. მისი განცხადებით, სირიის პრეზიდენტ ასადს ეს საერთოდ არ ჭირდებოდა, რადგან სირიას საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა, მიუხედავად დასავლეთის დამოკიდებულისა ბაშარ ასადის მიმართ, ოფიციალურმა თბილისმა აღიარა მისი ხელისუფლება. პრეზიდენტ ასადის ხსენებული აღიარების გამოცხადებისთანავე, საქართველომ გაწყვიტა სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობა, რაც მოსალოდნელიც იყო.

მაქსიმ შევჩენკო: „ეს აშკარად ანტიქართული ნაბიჯი, იმ ძალიაზე პოზიტიური მოლაპარაკებების ფონზე გადაიდგა, რომელსაც გრიგორი კარასინი და ზურაბ აბაშიძე აწარმოებდნენ. უკვე შეინიშნებოდა რუსეთისა და საქართველოს დაახლოება, გარკვეული პრობლემური, კონფლიქტური სიტუაციების მოხსნა და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უკეთესობისკენ მიდიოდა და უცებ ამ ფონზე ხდება ასეთი რამ, რაც საქართველოში ბუნებრივია, რუსეთის მორიგ ანტიქართულ დემარშად შეფასდება. ეს რაზე მეტყველებს, რომ რუსეთი მუდმივად უხეშად, ტლანქი, პრიმიტიული მეთოდებით ცდილობს საქართველოსთან დაპირისპირებას და მისი ინტერესების შელახვას? არა, უბრალოდ არსებობენ გარკვეული ლობისტური ძალები, რომლებიც რუსეთს მუდმივად უბიძგებენ ანტიქართული პოლიტიკისკენ, რაც ჩემი აზრით, აბსურდული პოლიტიკაა. მოცემულ შემთხვევაში ვთვლი, რომ ეს არის სომხური ლობი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობს ძალზე სერიოზული სომხური ლობი, დიახ, 90-იანი წლებიდან არსებობს ეს ლობი

და ის ძალზე ძლიერია მთლიანად რუსეთის ხელისუფლებაშიც. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, გადავხედოთ სომხეთში არსებული ვითარებას, რომელიც ასევე სუფევს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა თუ მის საგარეო პოლიტიკაში, სომხეთში მიმდინარე მოვლენები და ნიკოლ ფაშინიანის წინა პლანზე წამოწევა არ არის შემთხვევითობა. არსებობს ალბათობა, რომ სომხეთის ხელისუფლებაში, მიუხედავად მათი რუსეთისადმი სიყვარულის მტკიცებისა, მაინც მოვიდნენ ძალები, რომლებიც ვაშინგტონიდან უფრო კონტროლდებიან, ვიდრე მოსკოვიდან. იმ სომეხმა ლობისტებმა, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, რომ სრულად აკონტროლებდნენ სომხეთში სიტუაციას, გარკვეულწილად ამოწურეს სტატუსი და რესურსი. ნიკოლ ფაშინიანს მხარი ამერიკის სომხურმა ასოციაციამ დაუჭირა, ამაზე მოსკოვში ცდილობენ ნაკლებად ილაპარაკონ. სომხეთში მომხდარი სახელისუფლებო გადატრიალება რომ მიაჩუმათონ და გადაფარონ, რომელიც ალბათ მიგვიყვანს რუსეთსა და ირანს შორის არსებული ისედაც სუსტი არხის გაწყვეტასთან, რაც რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, აქცენტი საქართველოსკენ გადააქვთ. ამ ანტიქართულ დემარშს, წმინდა პოლიტიკური დატვირთვა აქვს, მას საქართველო აუცილებლად უპასუხებს ანტირუსულ განწყობებით, სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს.

ვთვლი, რომ ეს ყველაფერი რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, რადგან მართლმადიდებელი საქართველო (იქ მუსულმანი ქართველებიც ცხოვრობენ, მაგრამ ეს ჩვენთვის არასდროს ყოფილა პრობლემა) იყო ყოველთვის მთავარი მოკავშირე რუსეთისთვის, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში. ვინ ქმნის საქართველოსგან მტრის ხატს რუსეთისთვის კავკასიაში, ვინ უბიძგებს საქართველოს მუდმივად ნატოსა და ამერიკისკენ, ვინ აპელირებს იმ საკითხით, რომ რუსეთის მთავარი დასაყრდენი კავკასიაში თურმე სომხეთია? რომ მეკითხებით, პრეზიდენტ პუტინის გარდა ვის შეიძლებოდა ეთხოვა სირიის ხელისუფლებისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, რასაც ასადი დათანხმდაო, შორს წასვლა არ გვჭირდება, იგივე ლავროვს შეეძლო. მარტო პუტინი ხომ არ წყვეტს ყველა საკითხს, მისთვის უკვე მომზადებული მასალები მიაქვთ, სხვა და სხვა მხარე მიუტანს მოხსენებებს, ყველას თავისი უფლებამოსილება აქვს, ამას განიხილავს მოკლედ, ამ დონეზე წყვეტს პრეზიდენტი საკითხს. ვიმეორებ, სირიის მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება არის აბსოლუტურად უაზრო ქმედება, რომლის უკანაც მხოლოდ ქართველოფობიის ახალი სახეობა დგას და არაფერი სასიკეთო არ მოყვება.

რას მისცემს სირიას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ელჩების დანიშვნა? იმის მეტს არაფერს, რომ ჟურნალისტები იქ ინტერვიუს ჩაწერენ და რუსულ ტელეარხებზე აჩვენებენ. ამის მეტი არავითარი დანიშნულება არ აქვს მაგ აღიარებას. არც მოსკოვისთვის არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, რა ამის მეტი სხვა საქმე არ გვაქვს სირიაში? თან ეს ხდება რუსეთ-საქართველოს შორის, აშკარად კეთილგანწყობილი მოლაპარაკებების ფონზე. ვინც ეს გააკეთა, ვინც ცდილობს შეწყვიტოს მცდელობები, რომ დალაგდეს ურთიერთობები მეგობარ, ნამდვილად მოძმე მართლმადიდებელ ქართველ ხალხთან, რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს ნათამაშები რუსეთის როგორც რევოლუციამდელ, ისე შემდგომ ისტორიაში, რა შეიძლება ვუწოდოთ?! აი, ამ ხალხს კრავენ ხელს, უხეშად იცილებენ რუსეთისთვის მნიშვნელოვანი, საკვანძო პოზიციებიდან. ჩემი აზრით, ეს არის ჩემი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული გეოპოლიტიკური დანაშაული. ჩემი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ.

თუ საქართველო და რუსეთი მოილაპარაკებენ, სამხრეთ კავკასიის პრობლემა გადაწყდება. კავკასიელებთანაა საჭირო მოლაპარაკება და არა იმათთან, ვინც კავკასიაში მოდიან და თავს ვითომდა კავკასიელად წარმოსახავენ. იმ უცხოელ აგენტებზე ვამბობ, რომლებიც ცდილობენ ისე წარმოაჩინონ, რომ თითქოს მუდმივად კავკასიაში იყვნენ და არიან. მეკითხებით, ამერიკელ სომხებს გულისხმობთო? მე სომხების, როგორც ერის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მოცემულ შემთხვევაში პოლიტიკურ ლობიზმზე ვსაუბრობ, რომელიც ჩემთვის არცერთ ერთან არ ასოცირდება. კავკასიაში განსაკუთრებული (საკვანძო) მნიშვნელობის ქვეყანა საქართველოა, რომელსაც მთელი კავკასიის გეოპოლიტიკურ გადანაწილებებში მკვეთრი ცვლილება შეიტანოს. პრორუსული განწყობის საქართველო შეიძლება გახდეს კიდეც რუსეთის მთავარი დასაყრდენი კავკასიაში, ოღონდ ერთი პირობით, უნდა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ამის გარეშე, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ყველა ინიციატივა და მცდელობა, მარცხისთვისაა განწირული. როგორც არ უნდა გავლენიანი იყოს ის ძალები, რომლებსაც რუსეთის მიმართ სიმპათია აქვთ, მათ ვერ გაუგებენ, თუკი ისინი რუსეთთან კავშირისკენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციისა და დევნილების დაბრუნების გარეშე წავლენ. ცნობისთვის, თურქეთიც მიესალმება მეზობელი და მეგობარი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

არსებობს თუ არა ქართული პროლეტარიატი?

რაც დრო გადის, მით უფრო მწვავედ ვუსვამ შეკითხვას ჩემს თავს, რატომ დგას ერთი და იგივე პრობლემა ქვეყანაში ათწლეულების განმავლობაში? რატომ არ იკლებს თუნდაც სიღარიბის მაჩვენებელი, რატომ გახდა სიხარულის შეგძნება ასეთი დეფიციტური, რატომ ვერ ამოვისუნთქეთ?

კითხვა იმდენია და ისეთი მასშტაბური რომ პასუხი არათუ მაქვს, არამედ იმაზე ვკონცერტრირდები, როგორმე ახალი კითხვა ავირიდო თავიდან, კითხვა, რომელსაც ვერა და ვერ მოვარგე პასუხი, ბუნდოვანების და შიშით გაჯერებული ეჭვების გარეშე... არადა გამჭვირვალე და იმედიანი სურათები უფრო და უფრო უცხო ხდება ჩვენი თვალისთვის და ალბათ თვალსაწიერისთვისაც. სოციალური ქსელებიდან თუ ტელევიზიებიდან მოედინება ინფორმაცია ტოტალურად ნეგატიური, სასოწარკვეთილი და ვფიქრობ, ნუთუ ასე ცუდად არის ყველაფერი? ნუთუ მეტი რესურსი არ გვაქვს ადამიანებს იმისათვის, რომ უკეთ ვიგრძნოთ თავი? ჩვენ ხომ ის არსებები ვართ, ვინც ხომალდები გავუშვით კოსმოსში, ვინც კლონი გამოვიგონეთ, დნმ – ის შეცვლაზე ვმუშაობთ? დავფრინავთ ცაში, ვსერავთ ოკეანეებს, ვაშენებთ ხმელეთზე... რა გვჭირს სრულიად მსოფლიოს ისეთი, რომ ამ შიშით გარშემორტყმული ნეგატივის საფარველში გავეხვიეთ?

ვფიქრობ რომ ეს ყველაფერი მართულია ... დიახ, უფრო დიდი და ძლიერი ძალების მიერ, ვიდრე წარმოგვიდგენია. თუმცა მსოფლიო დონის პრობლემების გასაშლელად არც დრო მეყოფა და არც ენთუზიაზმი, ამიტომ ჩემი ქვეყნის პრობლემებით შემოვიფარგლები რომელიც ძალიან მწვავედ დგას დღევანდელ საქართველოში, მწვავედ იდგა გუშინდელშიც და ასევე ფეხმოუცვლელად იდგება ხვალინდელშიც, თუ ჩვენ...

მაგრამ მოწოდებებისგან თავს შევიკავებ და ისევ კითხვას დავსვამ, ამჯერად თქვენთვის:

ხალხის რა კატეგორიაა ღარიბი საქართველოში? (ალბათ დაფიქრდებით და პასუხიც ამ ფიქრის შედეგი იქნება, თქვენი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მე კი ჩემი სოციალური მდგომარეობა როგორი მსჯელობის უფლებასაც მაძლევს, ასეთი მსჯელობით მივალ პასუხამდე.)

- ესენი არიან ძირითადად უმუშევრები, მრავალშვილიანები, პენსიონრები, ფერმერები, გლეხები.

- სტატისტიკის მიხედვით მრავალშვილიან ოჯახებში სიღარიბის ძალიან მაღალი მაჩვენებელია, ასი ოჯახიდან სამოცდათხუთმეტი ღარიბია!

- მრავალი მიზეზი აქვს ამ მაჩვენებელს, რომელი ერთი ჩამოვთვალო,

- 1 – მოშლილია საბაზრო ეკონომიკა!

- ანომალიაა, აბა რა არის, როცა ჩვენივე ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირია, ვიდრე საიმპორტო. ქართველების წარმოებული პროდუქცია კი ეს იქნება ხორცი, ყველი, თაფლი, და თითქმის ყველაფერი რაც ჩვენს მიწაზეა მოყვანილი, გადის თურქეთში, აზერბაიჯანში, სასომხეთში.

- სამაგიეროდ ჩვენთან შემოდის დაბალფასიანი, "გმო" პროდუქცია, აბა რა! ჩვენ ხომ ყველაფრის ამტანი ხალხი ვართ, მერე რა რომ გაურკვეველი გენების მატარებელი პროდუქტი გვშხამავს და კიდეც ვიმკით ამის შედეგებს, კიბოთი ლეიკემიით და ათასი დაავადებით ვიხოცებით! ჩვენივე ქვეყანაში გაფაციცებით ვეძებთ რაიმე იაფფასიანს, რომ შიმშილი მოვატყუოთ (სიკვდილის ფასად?)

- 2 – სოფლის მეურნეობის იგნორი!

- ყველა განვითარებული და მეტნაკლებად ფეხზე მდგარი ქვეყანა კეთილდღეობის ერთ ერთ საყრდენ ბურჯად სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას და სწორად განვითარებას მიიჩნევს, რადგან სწორედ სოფელი აპურებს ქალაქებსაც და ქვეყანასაც! გლეხებსა და ფერმერებს მოტივაცია უნდა ქონდეთ შრომის, უნდა იმკიდნენ იმის საფასურს, რაც დასთესეს და ოფლი ღვარეს, მაგრამ არა! საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ ლამის ვაზი აჩეხოს გლეხკაცმა, ხორბლისა და სიმინდის თესვას შეეშვას და რაც შეიძლება შორს გაიქცეს მიწისგან, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მიწა გლეხკაცის ოჯახსაც კი ვეღარ აპურებს, არათუ ქვეყანას!

- წლებია ვუყურებთ სურათს, თუ როგორ ყრიან ხილს თხრილებში გაბრაზებული გლეხები, რადგან ვერ მოახერხეს რეალიზება იმ ფასად მაინც, მთელი წელი მათი მოყვანისთვის გაწეული დანახარჯი რომ "ამოიღონ "

რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ არაჯანსაღი კონკურენციაა, შემოტანილ " საწამლავს ' მწვანე აქვს ანთებული საქართველოს ბაზარზე!

არ არსებობს სათანადო რაოდენობის საწარმოები, ქარხნები, ჩვენი პროდუქციის გადასამუშავებლად და იმიტომ!

იმის მაგივრად რომ ჩვენივე ქარხნებში ჩვენივე პროდუქცია ვაწარმოოთ და ჩვენვე დავპურდეთ, სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ვგზავნით და სხვები პურდებიან ჯანსაღი პროდუქციით!

3 – ვალუტის გაუფასურების პარალელურად, ფასის ზრდა პროდუქტებზე... და კიდევ ვრცელი ჩამონათვალი შეიძლება მოგასმენინოთ მიზეზებისა, თუ რატომ შიმშილობს ერი!

სიღარიბე ნორმალურ ქვეყანაში შემდეგნაირად გაიშიფრებოდა: – ფინანსების უკმარისობა სრულყოფილი ცხოვრებისთვის.

საქართველოში კი ასე იშიფრება: – ფინანსების უკმარისობა სასიცოცხლო აუცილებლობებისთვის!

განსხვავებას ალბათ შეამჩნევდით!

რატომ არ უმჯობესდება ბიზნესგარემო საქართველოში? რატომ არ აქვთ მეტი ხელშეწყობა ქართველ ბიზნესმენებს? რა რეგულაციები მუშავდება, რითაც მათ, როგორც მესაკუთრეებს, საკუთარი უფლებების დაცვაში ეხმარებიან?

ვინ და როგორი სახით იცავს მათ უსაფრთხოებას?

რაში გამოიხატება ჯანსაღი კონკურენცია?

აქ უმეტესად წვრილ მეწარმეებზე მაქვს საუბარი.

რატომღაც სულ ქვეყნის გარეთ ვიხედებით, იქიდან ველოდებით ხსნას, კეთილდღეობას, და ლამის მესიას! უცხოურ ინვესტიციებზე ვართ ორიენტირებულები, არადა რამდენი რამ შეიძლება გაკეთდეს აქ!

გნებავთ ქართული ქვების მოპოვება, გნებავთ მინერალური რესურსების აღორძინება, გნებავთ ქვანახშირის წარმოება და ფეროთშენადნობი ქარხნის ამუშავება,, ხე ტყის დამუშავება და რაღა აღარ! თუ გონებრივი რესურსები და შენი ქვეყნის სიყვარული თანხვედრაშია. (მაგრამ ადამიანურ ბუნებაში ხომ ასე იშვიათია გულისა და გონების ალიანსი)

ამ ყველაფრის მოწესრიგებით მეტი დასაქმებული ადამიანი, ნაკლები ღარიბი გვეყოლება და შობადობაც აიწევს, მაგრამ არა! ვერაფრით ვერ გავითავისეთ, რომ, ერი ისე ვერ გამრავლდება და გაძლიერდება, თუ სახელმწიფო სტრუქტურულად არ დადგა ფუნდამენტურად მყარ საყრდენზე, რომ გახდეს ერის გამრავლებისა და გალაღების ხელისშემწყობი.

უნდა შეიქმნას პირობები რომ აღარ დავიქსაქსოთ მთელ მსოფლიოში ოჯახების სარჩენად, რადგან ასე "ოჯახი" ირღვევა, რადგან ოჯახი დედის მამის შვილებისა და შვილიშვილების ერთობლიობას ნიშნავს!(ემიგრანტების სტატუსები ვნახე სოციალურ ქსელში, აქვთ იდეა, რომ გახსნან საწარმოები საქართველოში, მისასალმებელია და ყოჩაღ მათ რომ ისევ აქ აშენებაზე ფიქრობენ, იმედია იდეას ხორცს შეასხამენ და საქართველოს ხელისუფლებაც დაეხმარება მათ ამაში.)

არასოდეს გაგჩენიათ კითხვა, ამ ათწლეულების განმავლობაში, რაც ასე "ვცოდვილობთ" და სული ვერ მოვითქვამს, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურადაა შექმნილი და ჩვენი "სიღარიბე" უფრო შორიდან მართული და დროში გაწერილი პროცესია? გეგმა იმისა, თუ როგორ გაპარტახდეს ერი შიმშილისგან ისე, რომ ყველანაირ "ნამცეცზეც" თანახმა იყოს და მადლობები უძღვნას "ნამცეცის" გადმომგდებთ?

სოციალური პრობლემების მოუწესრიგებლობამ წარმოშვა სხვათა შორის ფაშისტური იდეოლოგია და რაც მოუტანა ამან გერმანიასა და დანარჩენ მსოფლიოს, კარგად მოგვეხსენება!

რადიკალურად ღარიბი მოსახლეობა აუცილებლად მიიღებს რადიკალურ ზომებს ან იმ რადიკალურ ძალას მიემხრობა, რომელიც მდგომარეობის შეცვლის გარანტად დაუდგება. ეს ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არ მესახება შორეულ პერსპექტივად, რადგან სიღარიბის გამო თვითმკვლელობის მცდელობისთვის ფულად ჯარიმებს ვადებთ ადამიანებს, ასეთ ადამიანებს თვითმკვლელობის მცდელობა შეიძლება აღარ ქონდეთ, მაგრამ აუცილებლად იფიქრებენ რაღაც გამოსავალზე და ეს "რაღაც" მეეჭვება, რომ ესთეტიური და მშვიდობიანი იყოს!

ფიქრია ყაზაიშვილი

„ბნელი ენერგია“, რომელიც დედამიწას უახლოვდება

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N1)

იგივე იდეა აქტიურად ინერგება აგრეთვე ამ მიზნისთვის სპეციალურად გადაღებული ჰოლივუდური ფილმებით. მათში გადმოცემულია იდეა ქრისტეანული ერის დასრულებაზე და უფრო განვითარებული, “მერწყულის” ერის დაწყებაზე; ავრცელებენ იდეას, რომ თითქოსდა მაიას ტომის კალენდრის მიხედვით, კაცობრიობის ვიღაც იმქვეყნიური გადამრჩენლები ახალი ეპოქის დაწყებას გვახარებენ. ასევე ამბობენ, რომ “დიდ ადრონულ კოლაიდერს”, თითქოსდა შეუძლია გამოიწვიოს რაღაც სივრცობრივ-დროით ცვლილებები და გახსნას ახალი, სივრცულ-დროებით განზომილება. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ფრანგმა ჟურნალისტმა ეტიენ კასსემ დაწერა წიგნი – “პლანეტის მკვლელი. ადრონული კოლაიდერი”, რომელიც თითქოსდა მიზნად ისახავს “დიდი ადრონული კოლაიდერის” ჭეშმარიტი დანიშნულების გამორკვევას. დასკვნა, რომელთანაც ხიფათებით აღსავსე თავგადასავლებისა და მთელი რიგი ისტორიების შემდეგ მივიდა “დამოუკიდებელი” გამოკვლევის ავტორი (და რომელთანაც, შესაბამისად, მზაკვრულად მიჰყავთ მკითხველიც), მდგომარეობს შემდეგში: “პარალელური სამყაროდან ვიღაცას სურს შემოაღწიოს ჩვენს სამყაროში და ამისთვის, როგორც კარი, გამოიყენოს შავი ხვრელი, რომელსაც შექმნის კოლაიდერი”, როდესაც მას ჩართავენ “სრული სიძლიერით” (ეტიენ კასსეს წინა წიგნში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ “ატლანტებს ჰქონდათ დროის მანქანა, რომელიც დიდი პირამიდების რაიონში მდებარეობს”). ხოლო, ამ ბოლო დროს გამოცემულ ზოგიერთ ოკულტურ წიგნებსა და “კონტაქტორების” მიერ დაწერილ “შემუარებში”, სადაც გადმოცემულია მათი მოთხრობები (მოგონებები) კონტაქტები “პარალელურ სამყაროთა” წარმომადგენლებთან და მათ მიერ ნაუწყები “ინფორმაცია” და “მიმართვები”. მათში გადმოცემულია ასეთი აზრი: “ამ პლანეტის ღმერთი უნდა გადავაყენოთ”, ხოლო მისი “თანამდებობა” მივცეთ სხვა ძალებს. მხოლოდ მათ შეუძლიათ გადაარჩინონ კაცობრიობა გარდაუვალ დაღუპვას და ბოროტგანმზრახველ კოსმიურ ძალთა დამპყრობლურ გეგმებს. ან (სხვა ვარიანტი) მათ სურთ გადაარჩინონ თავიანთი “უმაღლესი რასა” დედამიწაზე მისი ჩამოსახლები თ. ყოველი ამგვარი მკრეხელობის უკან დგას დემონური ბოდვა და როგორც ხვდებით, იმალება ისევ და ისევ უაზროდ ამპარტავნული მისწრაფება “ძველი გველისა და დრაკონისა, რომელიც არის ეშმაკი და სატანა”. დემონები დღეს კაცობრიობას უხსნიან “ატლანტიდის (ანუ წარღვნამდელი კაცობრიობის) საიდუმლოს” – ოღონდ, ბუნებრივია, თავისებური, წინასწარგანზრახულად ყალბი ინტერპრეტაციით, სადაც მზაკვრულად არის გადაწნული სიმართლე და სიცრუე, რაც მეტად დამახასიათებელია მათთვის. აი მაგალითიც: გაზეთში “საფეხური” (2010 წლის № 17) გამოქვეყნდა სტატია “ატლანტთა სამი რასა”, რომელიც ეკუთვნის ვინმე ალექსანდრე ვორობიოვს – დემონების მიერ გაცურებულ მორიგ “კონტაქტორს”. “სხვა რეალობაში” მისი მოგზაურობის შედეგად გამოჩნდა შემდეგი “ინფორმაცია” (რომელიც მან ხელმძღვანელი დემონისგან მიიღო, როგორც ჩანს, კაცობრიობაში გასავრცელებლად). “ატლანტები იყვნენ არა რომელიღაც კუნძულის, არამედ მთელი დედამიწის მეპატრონეები (დიახ, წარღვნამდელი ცივილიზაციამ თავისი კვალი დატოვა მთელს დედამიწაზე). ცივილიზაცია, რომელსაც დედამიწაზე, ორი მილიონი წლის წინათ ატლანტიდა ერქვა (ორი მილიონი წელი – ეს რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრია, ხომ საჭიროა დასახატ სურათს მიეცეს გრანდიოზული ხასიათი) იმ დროს არ არსებობდა საზღვრები, დედამიწა საერთო სახლი იყო (დიახ, კაცობრიობის დაყოფა ერებად და სახელმწიფოებად წარღვნამდე არ იყო). სახელმწიფოების ნაცვლად არსებობდნენ ადმინისტრაციული ცენტრები, რომლებიც ორგანიზებული იყო კონცენტრული ნაგებობის (პირამიდების) სახით. კონცენტრული საზღვარი კეთდებოდა მეტალის დუღაბისგან და განკუთვნილი იყო მზის ორი ბატარეის განსალაგებლად (როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია პირამიდების სარკისებურ მოპირკეთებაზე, რომელსაც შეეძლო პირამიდების მომარაგება ენერგიით მათი ფუნქციონირებისთვის. გავიხსენოთ სარკისებრი მოპირკეთება ბერმუდის სამკუთხედის არეალში ჩაძირული პირამიდისა. ხოლო იმ პირამიდებს, რომლებსაც დედამიწის ზედაპირზე ვხედავთ, როგორც ჩანს, მოპირკეთებული ზედაპირი წარღვნამ მოურღვია, რის გამოც მოაკლდა ენერგიას და შეწყვიტა მუშაობა), ამავე დროს წარმოადგენდნენ შორი და ახლო კოსმიური კავშირის მიმღებ და გადამცემ ანტენებს (პირამიდების მრავალი მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ გააჩნდათ კავშირგაბმულობითი ფუნქცია, მხოლოდ ეგ არის საკითხავი, “კოსმოსთან” მყარდებოდა კავშირი თუ დაცემულ ანგელოზთა სამყაროსთან? შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ “შორეულ” კავშირში იგულისხმება დემონური სამყარო, ხოლო “ახლოში” – კავშირი დედამიწის მასშტაბით, კომუნიკაციის თანამედროვე და ჩვეულებრივი საშუალებების მსგავსად. “ანტენების” მიმღები ფუნქცია ალბათ მდგომარეობად კავშირის არხით გადმოსვლა ინფერნალური სამყაროდან ჩვენს, მიწიერ სამყაროში, ხოლო “ანტენის” გადამცემი ფუნქცია – პირიქით: აქედან იქით). საწარმოო საამქროები და ლაბორატორიები ძირითადად წარმოადგენდნენ მიწისქვეშა ნაგებობებს. ატლანტებში მეტალისა და შენაერთების წარმოება უმაღლეს დონეზე იყო განვითარებული (გავიხსენოთ თუბალკაენი – “სპილენძისა და რკინის მჭედელი”; უმაღლეს ტექნოლოგიებს ფლობდნენ პირამიდების მშენებლებიც). ისინი, საშუალოდ სამი მეტრის სიმაღლისანი იყვნენ. დასავლეთის ნახევარსფეროს ატლანტები (არიელები) ქერათმიანები და თეთრკანიანები იყვნენ, ხოლო აღმოსავლეთისა (ნეგროიდები) – მუქკანიანები. გარდა ამისა, მათ შორის განსხვავება მდგომარეობდა თავის ქალის აღნაგობაში (ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეგვიპტური სფინქსი არის ატლანტის, პირამიდების მშენებლის, სკულპტურული გამოსახულება. ანუ ეს არის წარღვნამდელი კაცობრიობის წარმომადგენელი. სფინქსის დეტალების შესწავლამ ცხადყო, რომ ასეთი პროპორციები და სახის ასეთი კუთხე თანამედროვე ადამიანს არ ახასიათებს. პროფესორი ე. მულდაშევის მონაცემებით, “ატლანტები” გამოსახულნი არიან ტიბეტურ ტაძრებზეც). ატლანტთა ორი რასის (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) შერეული ქორწინების შედეგად აღმოცენდა მესამე, ჰიბრიდული რასა (აქ, ალბათ, ნეფილიმებზეა ლაპარაკი), რომლებიც იშვებოდნენ შეთისა და კაენის მოდგმის წარმომადგენელთა ქორწინებით”. (ა. ვორობიევის სტატიაში ნახსენები “ატლანტთა” სამი რასა – ესენი არიან წარღვნამდელი შეთიტები, კაინიტები და ნეფილიმები). ის უფრო სრულყოფილი აღმოჩნდა, გააჩნდა უფრო ძლიერი ფსი-ენერგია და ამიტომაც მიიღო უპირატესობა რასების მამამთავრებს შორის. მამამთავარ ატლანტთადმი დაუმორჩილებლობა ითრგუნებოდა ფსიქოლოგიური (ანუ ფსიქოტრონული) ზემოქმედებით. 1,5 მლნ. წლის წინათ მოხდა აჯანყება ჰიბრიდული რასის ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც გადაიზარდა ბირთვულ ომში. შემდეგ, 1 მლნ. წლის განმავლობაში ჰიბრიდული და მამამთავრული საწყისის ატლანტები ცხოვრობდნენ განცალკევებით და ამასთან კავშირი ჰქონდათ პირველ, ადამიანურ ცივილიზაციასთან, რომელიც მეცნიერებამ დღემდე არ იცის. შემდეგ მოხდა მეორე ატომური ომი. ხუთი ათასი წლის წინათ ჰიბრიდულმა და მამამთავარმა, საწყისმა ატლანტებმა დატოვეს დედამიწა (მთელი ეს ისტორიები ბირთვულ ომებზე და ჰიბრიდული რასის გაქრობაზე, როგორც ჩანს, არის ნამდვილი, პლანეტარული კატასტროფის, წარღვნის მიჩქმალვის მცდელობა, რომელიც ღმერთმა მოუვლინა იმდროინდელ ღმრთის უარმყოფელ და ღმრთისმბრძოლ სისტემას, რომელშიც ჩართული იყო მთელი კაცობრიობა. წარღვნის დროს, ნამდვილად განადგურდა ჰიბრიდული რასა – გიგანტები (ნეფილიმები) და საერთოდ კაენის მთელი მოდგმა). მათ, ვინც ცოცხალი დარჩა, ეკუთვნით წყალქვეშა და მიწისზედა “თეფშები” (დემონების მიერ ორგანიზებული ამო-ს ფენომენი ამჯერად ეწერება “პარალელური სამყაროების” შესახებ შემუშავებული იდეის საერთო სქემაში), რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც ხვდება თანამედროვე ადამიანთა მხედველობის არეში. ატლანტების პარალელური რასა კაცობრიობასთან კონტაქტს არ ამყარებს, რადგან განიხილავს მას როგორც გონივრული ცხოვრების უკიდურესად აგრესიულ ფორმად დედამიწაზე (ცხადია, დემონებს სჭირდებათ დაარწმუნონ ადამიანები იმაში, რომ “ატლანტების პარალელური რასაა” (სინამდვილეში კი დემონები, როგორც ვითომცდა გონივრული ცხოვრების უმაღლესი ფორმა კაცობრიობას მშვიდობას და სრულყოფილ ცოდნას მოუტანს).

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მიმართვა თანამემამულეებს

ძვირფასო თანამემამულენო!

2018 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს საგანგებო დავალებათა ელჩმა კახა სიხარულიძემ მაროკოში ხელი მოაწერა გლობალური მიგრაციის საკითხთა დოკუმენტს, გაეროს პაქტს, რაც ითვალისწინებს აზიიდან და აფრიკიდან განუსაზღვრელი რაოდენობის მიგრანტთა საქართველოში შემოსვლას.

ამ დოკუმენტის მიღება საქართველოს მოსახლეობის გვერდის ავლით მოხდა...

დოკუმენტზე ხელმომწერებმა აღუთქვეს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიგრანტების საქართველოში შემოსვლისას საკონსულო დაცვის, დახმარებისა და თანამშრომლობის ეფექტურობის გაუმჯობესება საემიგრაციო ციკლის ხანგრძლივობისას. ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობისა და გლობალური პარტნიორობის გაძლიერება უსაფრთხო, თანმიმდევრული და ლეგალური მიგრაციის უზრუნველსაყოფად — ნათქვამია დოკუმენტში...

ძვირფასო მეგობრებო, ეს არის უპასუხისმგებლობის ყველაზე უფრო დიდი გამოვლინება, რაც კი მთელი ამ 28 წლის მანძილზე ჩადენილა.

მიგრანტებს ფართოდ უღებენ კარს იმ დროს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ორი მესამედი გაჭირვებისგან სულს ღაფავს, პენსიონერთა უდიდესი უმრავლესობა შიმშილობს, ყოველწლიურად 300-ზე მეტი ბავშვი იღუპება, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია, ქვეყნის საზღვრები თითქმის მოშლილია, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან უამრავი ლტოლვილია, რომელთა უმრავლესობას დღესაც გადაუდებელი დახმარება ესაჭიროება, როდესაც მთელს ქვეყანაში უმძიმესი სულიერი კრიზისი სუფევს!...კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?!...

ძვირფასო თანამემამულენო, გაეროს ამ პაქტის მიღებით საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. მოგეხსენებათ, სირიის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ისლამისტი ტერორისტების მხარეს საბრძოლველად საქართველოდან, კერძოდ, პანკისის ხეობიდან მრავალი მოქალაქეა წასული. საბედნიეროდ, ომი სირიაში თითქმის დასრულებულია და ტერორისტებს იქ აღარ დაედგომებათ. ამიტომ მათი დიდი ნაწილი, ეგრეთ წოდებულ მიგრანტებთან ერთად, საქართველოში უპრობლემოდ შემოვა, რის გამოც შესაძლებელია საქართველოს მოსახლეობა ყოფნა არ ყოფნის საფრთხის წინაშე აშკარად დადგება...

გლობალისტური დასავლეთი უხვად აფინანსებს ქართველი ერის ნების წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი გავლენის აგენტებს, ანუ მეხუთე კოლონას!!!...

ჩვენ, უცხოეთში დროებით მცხოვრები ქართველი ემიგრანტები, რომელთაც არ შეგვიწყვეტია ბრძოლა საქართველოში არსებული უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, ვგმობთ ამ გადაწყვეტილებას და თანადგომას ვუცხადებთ საპროტესტო აქციის მონაწილეებს! მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს მოსახლეობას ხმა აღიმაღლონ უცხოტომელთა მიგრაციის წინააღმდეგ!

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის 28 წელია საქართველოში პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ცალკეული ჯგუფები, პიროვნებები ებრძვიან არსებულ უკანონობასა და უსამართლობას, ცდილობენ წინ აღუდგნენ ქვეყანაში მიმდინარე ანტიეროვნულ პროცესებს, მაგრამ ისინი ნებსით თუ უნებლიეთ, უგულებელყოფენ ამ ყველა უბედურების გამომწვევ ისეთ უმთავრეს მიზეზს, როგორიცაა 1991-92 წლების მიჯნაზე შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება და ეროვნული კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა...

ძვირფასო თანამემამულენო! ხელიდან გვეცლება სამშობლო, რომელსაც სამყაროსადმი უდიდესი სულიერი მისია აკისრია... სწორედ ამიტომაც ცდილობენ მის დაკნინებას, ეროვნული სულის მოშთობას, მის განადგურებას...

საქართველოს ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოყვანის ერთადერთი გზაა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენა! არ არსებობს არავითარი ლეგიტიმური საბუთი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების ვადის დასრულებას ადასტურებს!

ძვირფასო თანამემამულენო! მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ხელისუფლებას, საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობითა და საქართველოს მოსახლეობის მასიური მხარდაჭერით ძალუძს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა.

ჩვენთან არს ღმერთი!

ირაკლი იბერი, დავით გიგაური, გიორგი ჯაჟელი, ნანა ტატიაშვილი
ნიუ იორკი, აშშ

საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგული თანამებრძოლების სახელით

მართა სამანელი, ლაშა გამსახურდია, სანდრო მარიამიძე, სალომე მჭითური, დავით ჯანდიერი, ბერდია ლულუშაური
დამასკო, სირია

შეხვედრა სალვადორ დალისთან

მელორ სტურუა: „სიურრეალიზმის მეფესთან შეხვედრაზე ჯორჯ ბალანჩინმა დამიყოლია“



მრავალი წლის წინ სალვადორ დალისთან ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობა მომეცა (თავისთავად ცხადია, ინტერვიუ ჩვენს პრესაში არ დაბეჭდილა). დალიმ აუდიენციაზე მიმიწვია ნიუ-იორკის სასტუმროს – „სეინტ-რეჯისის“ ჰოლში. საფუძვლიანად ვემზადებოდი გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძის, იმავე ჯორჯ ბალანჩინის ხელმძღვანელობით, რომელმაც სიურრეალიზმის მეფესთან შეხვედრაზე დამიყოლია.

– დალი თავიდანვე შეეცდება თქვენს განცვიფრებასა და დათრგუნვას, მით უმეტეს, რომ პირველი საბჭოთა ჟურნალისტი ხართ, რომელმაც მას ინტერვიუ სთხოვა. ამიტომაც თქვენი ამოცანაა, ინიციატივა ხელში ჩაიგდოთ პირველი წუთებიდანვე, დალის უნდა მოერიოთ მისივე იარაღით – ექსცენტრიკული ეპატაჟით, – მმოძღვრავდა ბალანჩინი.

– სათქმელად ადვილია, მაგრამ როგორ, – იჭვნეულობა დამეტყო.

– ამის გაკეთება უფრო იოლია, ვიდრე თქმა, – არ დამეთახმა ბალანჩინი.

ჩვენ 60-იანი წლების ბოლოს დავახლოვდით. მასთან სახლში და თეატრში ვათენ-ვაღამებდი, ვესწრებოდი მის ყველა რეპეტიციას და „კონსულტაციასაც კი ვუწევდი“ საბჭოთა კავშირში დაგეგმილი გასტროლების წინ, რისთვისაც დასში „დიდებული ვეზირის“ ტიტულიც კი მიბოძეს. ახლა ბალანჩინი თითქოს ვალს მიბრუნებდა.

ბალანჩინის გეგმა, როგორც ამბობენ ხოლმე, იყო გენიალურად მარტივი: უარი უნდა გვეთქვა საბჭოთა ადამიანის, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, სოვკის სტერეოტიპულ გარეგნობაზე (ბალანჩინის აზრით, დალი ამ სტერეოტიპის ტყვეობაში იყო მოქცეული) და ამის საწინააღმდეგოდ ჩამეცვა მყვირალა სამოსი. „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ კოსტიუმერის დახმარებით გამომაწყვეს „გედების ტბის“ გმირის, ზიგფრიდის კოსტიუმში, რომელიც აშკარად აჩენდა ჩემს „საუკეთესო ბარძაყებს“ – ასე მაფასებდა ბალანჩინი, რომელიც კმაყოფილებას ვერ მალავდა თავისი ჩანაფიქრისა თუ განზრახვის გამო.

და აი, ასე გამოწყობილმა – დაშნის ნაცვლად მხარზე გადაკიდებული მაგნიტოფონით, შევაბიჯე მდიდრულ „სეინტ-რეჯისის“ შენობაში და იქაურობას თვალი მოვავლე. დალი იჯდა ჰოლის სიღრმეში, დაყრდნობილი თავის ხელჯოხს, რომელსაც მასიური ვერცხლის ბუნიკი ჰქონდა (ხელჯოხს ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდები). მისგან მარჯვნივ იჯდა თვალისმომჭრელი სილამაზის ორი ახალგაზრდა ქალი – რუბენსის ნახატებზე გამოსახული ქალების აგებულების, თითქმის შიშველი და თვალწარმტაცი, რომლებსაც სააშკარაოზე ამაყად გამოეტანათ თავ-თავისი ფენომენალური მკერდი. ქალიშვილები შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს (მოგვიანებით გაირკვა, რომ დები იყვნენ, მგონი – ტყუპებიც კი). მათ გამახსენეს შეუდარებელი ანიტა ეკბერგი ფელინის ფილმიდან „ტკბილი ცხოვრება“. სხვათა შორის, დალის თანმხლები გოგონებიც შვედები აღმოჩნდნენ. ყელზე ორივეს ჩამოცმული ჰქონდა შავი ხავერდის საყელოები, ხოლო მოოქრული ჯაჭვის საბელები მხატვარს ეპყრა ხელთ და დროდადრო აწკარუნებდა. ამ ნიშანზე გოგონები ხმამაღალ ჯანსაღ ხარხარს იწყებდნენ.

დალის მარჯვნივ იჯდა მისი სახელგანთქმული ცოლი – მისი მუზა-მენატურე გალია, რომელსაც თვითონ გალას ეძახდა. მხატვრის ცხოვრების თანამგზავრის სახის გამომეტყველება კარგს არაფერს გვიქადდა, ყოველ შემთხვევაში, მე. აშკარად ეტყობოდა, რომ გუნებაზე არ იყო. შესაძლოა, მას აღიზიანებდა უნაკლო აღნაგობის გოგონების ტანის რხევა, ან მოსალოდნელი შეხვედრა კომუნიზმის სამყაროს წარგზავნილთან – მის ჯიუტ სულს ხომ მთელი არსებით სძულდა კომუნიზმი.

თავად დალის ეცვა ღია ჟოლოსფერი ჯილეტი, ოქროსფერი ფარჩისგან შეკერილი კამზოლი და პანტალონი, რომელმაც ქართველი კინტოს სამოსი – შავი განიერი შარვალი გამახსენა. ფეხსაცმელს თვალი ვერ მოვკარი.

ბალანჩინის განზრახვა გამართლებული აღმოჩნდა. მოულოდნელობის ეფექტი აშკარად ჩემს მხარეზე იყო. წამის რაღაც მონაკვეთში მხატვრის გაფართოებულ თვალებში გაკვირვებამ გაიელვა. თუმცა მაშინვე გაუქრა და მეტჯერ აღარ გასჩენია, თუმცა ჩვენ დაახლოებით სამ საათს ვისაუბრეთ. დალის მაგია, სხვათა შორის, გამოიხატებოდა იმითაც, რომ წარმოუდგენელ ნომრებს სთავაზობდა მოსაუბრეს სრულიად უშფოთველი გამომეტყველებით და ვერ გაიგებდი, როდის ხუმრობდა და სერიოზულად როდის ლაპარაკობდა.

მაგალითად – საუბრისას, ხელჯოხის ვერცხლის ბუნიკს ხელს უსვამდა, როცა მითხრა:

– ეს ხელჯოხი ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია. იგი სარა ბერნარის ნაქონია.

ხელჯოხს ალმაცერად და მოწიწებით შევხედე.

მალევე, სულ სხვა თემაზე საუბრისას, დალიმ კვლავ გადაუსვა ხელი ბერნარის ხელჯოხის ბუნიკს და მოულოდნელად თქვა:

– ეს ხელჯოხი ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია. იგი ელეონორა დუზეს ნაქონია.

ის-ის იყო განმარტება მინდოდა მეთხოვა, მაგრამ უცებვე მოვეგე გონს, ენაზე ვიკბინე და ხელჯოხის ახალი ვერსია მივიღე ისე, რომ სინამდვილეში ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ, ისევ კონტექსტის მიღმა, დალიმ კიდევ ერთხელ გადაუსვა ხელი ვერცხლის ბუნიკს და სასხვათაშორისოდ თქვა:

– ეს ხელჯოხი ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია. იგი აისედორა დუნკანის ნაქონია.

მეორედ უკვე ვეღარ შემაცბუნა. გავიგე და მივიღე დალის მიერ შემოთავაზებული თამაშის წესები. მივხვდი იმასაც, რომ ის თავისებურად მცდიდა. შესაძლოა, ამოწმებდა, მქონდა თუ არა იუმორის გრძნობა: ცდიდა ჩემს უნარს, შემეძლო თუ არა აბსურდის აბსორბირება. მინდა მჯეროდეს, რომ ამ გამოცდას თავი გავართვი. თუმცა, ვინ იცის?! დალი ამ მხრივ საკმაოდ მკაცრი გამომცდელი იყო.

პარტიის სადებიუტო ნაწილი მოვიგე მე, უფრო სწორად – ბალანჩინმა, ჩემმა უჩვეულო გარეგნობამ ნამდვილად შეაცბუნა დალი. რამდენჯერმე მკითხა, მართლა „იზვესტიის“ კორესპონდენტი ხართო. მოწმობის ნახვაც კი მთხოვა. მე ვაჩვენე გაეროს პრესცენტრის გაცემული საკორესპონდენტო ბარათი, რომელიც ქალაქ ნიუ-იორკის პოლიციის

დეპარტამენტის პრესბარათის გერბის მსგავსად იყო გამოჭრილი და ჩემი რედაქციის ბარათიც. დალიმ, ისე რომ საბუთებისთვის არც შეუხედავს, ცოლს გადასცა. გალია ერთხანს მათ გულდასმით ათვალიერებდა, შემდეგ დამიბრუნა, და თითქოს განაჩენი გამომიტანაო, დალის უთხრა:

– დიახ, იგი კომუნისტია!

ქალიშვილები ატკრციალდნენ, დალიმ კი ჟონგლიორობა დაიწყო ხელჯოხით, რომელიც სარა ბერნარს, ელეონორა დუზეს, აისედორა დუნკანს და, კაცმა უწყის, კიდევ ვის ეკუთვნოდა.

საუბრისას დალიმ გამოთქვა ასეთი მოსაზრება:

– სახვითი ხელოვნებისთვის – ფერწერის, ქანდაკების, აგრეთვე არქიტექტურისთვის, ოღონდ არ ვგულისხმობ ფუნქციურ ქალაქმშენებლობას, დემოკრატია წინააღმდეგჩვენებაა. ხელოვნების ეს სახეობები დიქტატორული რეჟიმების დროს ყვავის. ამიტომაც არის, რომ მისი უმაღლესი მწვერვალი ანტიკურ დროს და შუა საუკუნეებს ემთხვევა. რომის პაპებისა და კეისრების, ესპანელი მეფეებისა და ფლორენციელი დიდგვაროვნების გარეშე, ყველა ამ მედიჩებისა და ბორჯიების გარეშე ჩვენ არაფერი არ გვექნებოდა.

– და რატომ?

– იმიტომ რომ, წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს დიდგვაროვანსა და მხატვარს შორის, პაპსა და სკულპტორს შორის შუამავლები არ არსებობდნენ. ისინი ერთიანი ჭიპლარით იყვნენ გადაბმულნი. ხელისუფლება და ხელოვნება ერთობლივად ატარებდნენ თავიანთი მხრებით სამყაროს. ხელოვანის სახელოსნო იყო ყველგან, სადაც სუვერენის ძალაუფლება ვრცელდებოდა. ისინი ერთად ძერწავდნენ ეპოქას. და მაშინ შემოქმედს არ სჭირდებოდა მილიონები, რადგან მას ყველაფერი ჰქონდა.

– შემოქმედებითი თავისუფლება?

– ეს იყო კიდეც სრული თავისუფლება, რომელსაც ქმნიდა ორი არათავისუფლება – მონარქი დამოკიდებული იყო შემოქმედზე და შემოქმედი – მონარქზე. ორი მინუსი – ორი არათავისუფლება ქმნიდა პლუსს – თავისუფლებას. დემოკრატიული წესწყობილების დროს ხელისუფლება და შემოქმედი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან. ისინი არ იკვეთებიან, არ ანაყოფიერებენ ერთმანეთს, და ამიტომაც დეკადანსში ეშვებიან. აბსტრაქციონიზმი შემთხვევით როდი იქცა დემოკრატიის ხელოვნებად. ღრმად ვარ დარწმუნებული – თუ შემოქმედს არ ძალუძს ტილოზე ან ქანდაკებაში გადმოსცეს ადამიანის სხეულის ანატომია, ის ვერ შეძლებს გადმოსცეს ადამიანის სულის ანატომია.

– მერედა პიკასო?

– ო, პიკასო გენიოსია! ქედს ვიხრი მის წინაშე. ის ერთადერთია დედამიწის ზურგზე, რომელმაც ნავთობით ისე იშოვა მილიონები, რომ სანავთობო ბიზნესში არ ყოფილა.

პიკასოს დიდებისა და სიმდიდრის დალის ყოველთვის შურდა.

– რას ფიქრობთ საბჭოთა სახვით ხელოვნებაზე?

– მხოლოდ ყველაფერს უმაღლესს.

ამ დროს გალიამ, უკმაყოფილების ნიშნად, წარბები შეკრა. დალიმ იოტისოდენა ყურადღებაც კი არ მიაქცია და განაგრძო:

– თქვენს სოციალისტურ რეალიზმს გააჩნია საიდუმლო, მაგრამ დიდებული მისია – შთამომავლობას შემოუნახოს ხატვისა და ძერწვის ხელოვნება. დასავლეთში ეს თითქმის დაიკარგა და სულ მალე გაქრება კიდეც. როცა კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგება და მოიწადინებს ფესვებთან დაბრუნებას, თქვენი სოციალისტური რეალიზმი მას გამოქვაბულის ნახატების სამსახურს გაუწევს, იქცევა ხიდად მომავლისთვის, უზრუნველყოფს მას სახვითი ხელოვნების გენეტიკური მემკვიდრეობითობით.

– ყურს ნუ უგდებთ! – ვეღარ მოითმინა გალიამ.

16 ბ3.



შეხვედრა სალვადორ დალისთან

15 გვ.

გალიას სახე შეუვალი გახდა. დალი კი, დღესაც არ ვიცი, სერიოზულად ლაპარაკობდა თუ ირონიით. გადმოკარკლული თვალები და ზემოთ თავმომწონედ აწკეპილი ულვაშები სიურრეალისტურ ელფერს სძენდა ყველაფერს, რასაც ამბობდა.

– აბსოლუტურად არ მაღელვებს, ტილოებზე დიდებულ პაპებსა და მეფეებს, დოჟებსა და რაინდებს დესპოტებად გამოსახავდნენ თუ ანგელოზებად. მე მაინტერესებს ადამიანის ხასიათი და მისი ხორცშესხმა, გამოსახვა. შავი კვადრატები და წითელი სამკუთხედები სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნების დაღმასვლის, დაცემის განსახიერება. ეს გეომეტრიაა და არა ხელოვნება. სტალინსაც, ხრუშოვსაც, თითოეულს თავისებურად, ესმოდა ეს ან, უფრო სწორად, გრძნობდა ამას.

– განა შეიძლება გაამართლო ხელოვანთა დევნა, თუკი მათი „იზმები“ ხელისუფლებას არ მოსწონს? განა შეიძლება გაამართლო ვერნისაჟების ბულდოზერებით განადგურება?

– რა თქმა უნდა, შეიძლება. თუ არ გამარგლავ, კარგ მოსავალს ვერ აიღებ.

– ყურს ნუ უგდებთ! – უკვე რუსულად დაიყვირა გალიამ. შვედი ნიმფები კი ისევ და ისევ უდარდელად ხარხარებდნენ.

– ტოტალიტარულ დიქტატორებსა და დემოკრატიული საზოგადოების მეცენატ მილიონერებს შორის არსებობს უზარმაზარი პრინციპული განსხვავება, – თითქოს არაფერი მომხდარაო, დალიმ საუბარი განაგრძო, – მათგან პირველნი ხელოვნებისგან ითხოვენ, უკვდავყონ ისინი, და მათი სახით – ეპოქაც. მდიდარი მეცენატებისთვის ხელოვნება არის კაპიტალის დაბანდების, გადასახადებისგან თავის არიდების საშუალება, საუკეთესო შემთხვევაში – პატივმოყვარეობის სათავე ან ესთეტიკური მასტურბაცია. დიქტატორები ხელოვნებას ავრცელებენ ხალხში, ნერგავენ ცხოვრებაში, მეცანატ მილიონერებს კი „გააქვთ“ ცხოვრებიდან და თავიანთი კერძო კოლექციების კედლებში ამწყვდევენ. თანაც, ეს რა მეცენატობაა? ძველ ოსტატთა ნამუშევრებს ყიდულობენ, თანამედროვეებს კი ანიჭებენ სრულ თავისუფლებას, შიმშილისგან სული გასძვრეთ. დიქტატორები, პირიქით, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეთა ინვესტირებას ახდენენ. სწორედ ამით გამოხატავენ ისინი ისტორიზმის განცდას. დიქტატორი და ხელოვანი ერთად ქმნიან ისტორიას. და თუ პირველი პურს აჭმევს მეორეს, ამაში დასაძრახს ვერ ვხედავ, ისევე როგორც, არაფერია გასაკიცხი იმაში, რომ პირველს სურს შთამომავლობას შემორჩეს არა კუბებითა და კვადრატებით, არამედ იმ სახით, როგორადაც შექმნა უზენაესმა შემოქმედმა. შემიძლია შეუცდომლად ვიწინასწარმეტყველო, რომ ჩვენი შორეული შთამომავლები მეოცე საუკუნეს შეისწავლიან არა სურათების გალერეების მეშვეობით, არამედ საფლავებზე დადგმული სკულპტურებით, რაც დასავლეთში სოციალისტური რეალიზმის ერთადერთი გამოხატულება და თავშესაფარია.

– აი, ეს კი სიმართლეა – სოცრეალიზმს მოაქვს სასაფლაოს სული, – ღვარძლიანად ჩაგვერთო საუბარში გალია.

– არა, სიკვდილის წინაშე ხელოვნებას ეკარგება ეკვილიბრისტიკა. ხელოვნება მარადისობასთან პირისპირ რჩება, – მოიგერია შეტევა დალიმ.

– ჩემი აზრით, საფლავების სკულპტურებისგან მეშჩანური პატივმოყვარეობის სიო უბერავს, – გავბედე და მეც გამოვთქვი ჩემი მოსაზრება.

– რასაც თქვენ მეშჩანურ პატივმოყვარეობას ეძახით, ადამიანის არსებობის მთავარი ღერძია. თუ ხელოვანი მას ზურგს აქცევს, იგი თვითონ ცხოვრებასაც აქცევს ზურგს. მაგალითად, მაფიის მეთაურთა საძვალეები ჩემთვის ისევე მრავლისმთქმელია, როგორც პაპების, მედიჩებისა თუ სხვათა აკლდამები.

საუბრისას უნებლიეთ გამახსენდა, რეალიზმის სიყვარულმა როგორ დააახლოვა ერთმანეთთან დუაიტ ეიზენჰაუერი და ფროლ კოზლოვი და ამის შესახებ დალის ვუამბე.

– ამაში გასაკვირი არაფერია. თითქმის ყველა ამერიკელი პრეზიდენტი გულით სოცრეალისტია. თუმცა, მათთვის სამწუხაროდ და ხელოვნების საუბედუროდ, ამერიკას მართავს კანონები და არა ხალხი. ადამიანები ხომ ადამიანებისთვის ქმნიან ხელოვნებას, კანონები კი კანონებისთვის იწერება. დიქტატორულ საზოგადოებებში, როგორიც თქვენია, ხალხი უფრო მაღლა დგას, ვიდრე კანონები, ამიტომაც ხელოვნებას აქვს მომავალი.

– დალი, თავი დაანებე სისულელების ფრქვევას. რუსეთში ხელოვნებას კომუნისტების ხელში არც მომავალი გააჩნია და არც აწმყო, – ჩაგვეჭრა საუბარში დაუცხრომელი გალია.

– როცა ვმუშაობ, გალა პუშკინს მიკითხავს რუსულად. მიუხედავა იმისა, რომ თქვენი ენა არ ვიცი, ეს ჩემს ფანტაზიას აღვიძებს, დეზს ჰკრავს, – აშკარად უადგილოდ თქვა დალიმ და შვედებს მიმართა:

– იცით, ვინ არის პუშკინი?

შვედი გოგონები კიდევ უფრო ხმამაღლა აკისკისდნენ.

– ვინ არის ევგენი ონეგინი?

გოგონები უკვე მთელი სასტუმროს გასაგონად ხარხარებდნენ.

დალის სახეზე კუნთიც კი არ შერხეულა; არც მისი ცნობილი ულვაშები – ერთხელაც კი, ისე როგორც გარინდულია ხოლმე ყველაფერი, როცა სიოც კი არ უბერავს. ბობოქრობდა ერთადერთი გალა, რომელიც ეჭვიანობდა შვედებზე, რომელსაც სძულდა კომუნიზმი, ვინც აღმერთებდა დალის.

– ყოფილხართ თეორ სახლში? – კვლავ გაისმა დალის ხმა. ლაპარაკობდა ინგლისურად, ოღონდ, რატომღაც, არა ესპანური, არამედ ფრანგული აქცენტით. გოგონები ოსტატის მორიგი გონებამახვილობისა თუ ხუმრობისთვის სრულ მზადყოფნაში იყვნენ. დალიმ ეს შეამჩნია, საბელები მოქაჩა და მკაცრად თქვა:

– კითხვას თქვენ კი არა, კომუნისტს ვუსვამ.

– ვყოფილვარ, – ვუპასუხე და თან ბალანჩინის გარდერობის ჟაბოს ვწეწავდი, სიცილსაც ძლივძლივობით ვიკავებდი.

– მიგიქცევიათ ყურადღება პრეზიდენტების პორტრეტებისთვის, რომლებიც ამ უგემოვნო შენობის კედლებზეა ჩამოკიდებული?

– რას გულისხმობთ?

– ყველა მათგანი სოცრეალიზმის სტილით არის შესრულებული. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მათ თვითონ პრეზიდენტები უკვეთავდნენ, ვიდრე თეთრი სახლის დარბაზებს შეელეოდნენ. უკვეთავდნენ შთამომავლებისთვის. და მხატვრებსაც თავად ირჩევდნენ. როგორც ხედავთ, არც ერთ მათგანს არ აურჩევია არც პოლოკი, არც და კუნინგი, არც მირო და პიკასოც კი.

– შენ დათანხმდებოდი სტალინის დახატვას? – ავყიად იკითხა გალიამ.

– ჩემთვის ეს უმაღლესი პატივი იქნებოდა.

– წარმომიდგენია, ამისგან რა გამოვიდოდა. სტალინი შენი ნათითხნისთვის ციმბირში გიკრავდა თავს.

დალის არაფერი უპასუხია, მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა თავის „გალას“. უფრო მეტად „ნათითხნი“ და „ციმბირი“ მოხვდა გულზე. ამ დროს მისმა სახემ, გადმოკარკლულმა თვალებმა და ულვაშებმა პეტრე პირველის ოდნავ გამომშრალი ფიზონომია გამახსენა...

მიუხედავად იმისა, დალი ეპატაჟით თავს ირთობდა თუ სერიოზულად ლაპარაკობდა, ის ცამდე მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ ყველა ამერიკელი პრეზიდენტი სულით სოცრეალისტია. მეტიც – ძალაუფლების ნებისმიერ მოყვარულს ოდნავ თუ გადაფხეკ, მართლაც სოცრეალისტს აღმოაჩენ. ძალაუფლების არსი კონსერვატორულია. იგი იცავს საფუძვლებს და შესაბამისად, კონსერვატორულია, მნიშვნელობა არ აქვს, ის დემოკრატიულია თუ ტოტალიტარული. ხელოვნების არსი ამის საპირისპიროა, მაშინაც კი, როცა კონსერვატორულია, რეპტილურია, მაამებლური, თუ რასაკვირველია, მასში შემოქმედებითი ჟინიანობის პულსი ფეთქავს. პარალელების მსგავსად, სადღაც უსასრულობაში რომ ერთდებიან, ეს დაპირისპირება საბოლოოდ მაინც ცხრება. და ასეთ დროს დალი, ალბათ, მართალია. სხვათა შორის, პუშკინი, რომლის შემოქმედებასაც გალია დალის ორიგინალის ენაზე უკითხავდა, იყო არა იმდენად თავისუფლების მომღერალი, რამდენადაც უზენაესი კონსერვატორული ხელოვნების ქურუმი. რამდენჯერაც არ უნდა მოისროლონ იგი ფუტურისტებმა თანამედროვეობის გემბანიდან, იგი მაინც აღმოჩნდება მეოცე საუკუნის მღელვარე ოკეანეში ბოლშევიკების დრედნოუთზე; ახლა? ახლა კი რუსული დემოკრატიის დანჯღრეული პატარა გემის ტრაპზე ადის, დემოკრატიისა, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში აქვს.

მინეაპოლისი

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 551 50 89 07

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983